# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 4 ნოემბერი 1997 №139 (504) ფასი 40 თეთრი

# განი-გამოწნი, ბრაგა მაინც ბრაგაა

ფოტო [illegible]

პორტუგალიელები ან თავგზააბნეულნი არიან, ანაც დინამოელთა დაბნევას ლამობენ. გუშინწინ გვიან ღამით თბილისს ჩამოფრენილმა „ბრაგამ" უცნაური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ერთია საკითხავი, რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი. „დინამოს" ხელმძღვანელებმა სტუმართა ჩამოსვლის შესახებ არაფერი უწყოდნენ, აეროპორტში ნაადრევად მისულებს შემთხვევით შეუტყვიათ, ბრაგელთა თვითმფრინავი ბულგარეთში დაფრინდა და თბილისში ამა და ამ დროს იქნებაო. როგორც ირკვევა, სტუმრებს ჩვენებურთათვის არაფერი უცნობებიათ.



რამ ჩააფიქრა სანტოსი?

„ბრაგამ" პირველი ვარჯიში დილმის ბაზაზე გუშინ დილით ჩაატარა, ხოლო მასპინძლებს საღამოს წვრთნისთვის ეროვნული სტადიონი შეუკვეთა. ბრაგელებმა ამჯერადაც გადაუხვიეს პირველად ნათქვამს. 9 საათის ნაცვლად ვარჯიში 8-ის ნახევარზე მოინდომეს. პორტუგალიური დელეგაცია ეროვნულ სტადიონს 7 საათზე ორი ავტობუსით მიადგა. ერთში მწვრთნელები და ფეხბურთელები ჩამსხდარიყვნენ, ხოლო მეორე კლუბის ხელმძღვანელ-თანამშრომლებს და ჟურნალისტებს აევსოთ.

ავტობუსიდან ჩამოსულებს თუ სავარჯიშოდ გაკრეფილებს სახეზე მედიდური იერი არ მოშორებიათ. ზოგიერთთაგან ჩვენთვის სასიკვდილო ფრაზებსაც მოისმენდით, ეს „დინამო" სოლიდური გუნდი გვეგონა, ცოტა შეფუცხუნებულებიც ვიყავით, მაგრამ მალე გავიგეთ, რისი თავიც ჰქონდათ და ქართველებს თბილისშიც გავანადგურებთო. ვაგლახ, „დინამო"! ვისი დასაცინი გამხდარა ჩვენი ჩემპიონი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობას ვერსად გავექცევით.

სტუმრებმა ვარჯიშით თავი მოიკლესო, ნამდვილად ვერ იტყოდით. მოთელვასა და ცოტა ხნით ძუნძულს შინ დაზეპირებული კომბინაციების გახსენება-დამუშავება შეუნაცვლეს, მერე მეკარეები დასეტყვეს. მათთან ბოლოს ორი ფეხბურთელი დარჩა, დანარჩენები კი მწვრთნელმა ცენტრში შემოიკრიბა და სხეულის ყველა კუნთი საფუძვლიანად დაამუშავებინა. შემდეგ თავისიანები სწრაფ სირბილში ამეცადინა, ოღონდ — მოკლე დისტანციაზე და დასვენება ბრძანა.

ფეხბურთელები გასახდელისკენ დაიძრნენ და ჩვენც ამ მცირე დროში მოვახერხეთ „ბრაგას" მთავარ მწვრთნელთან და რამდენიმე ფეხბურთელთან გასაუბრება.

პორტუგალიელთა ესპანელი მწვრთნელი ფერნანდო სანტოსი იქვე, მინდვრის განაპირას მოვიხელთეთ. თავისიანებთან საქმის გარჩევას რომ მორჩა, ერთბაშად 15-მდე ჟურნალისტს, დანარჩენი ხვალ, მატჩის შემდეგ იყოსო — უთხრა.

ისე, ბატონ სანტოსს მეტისმეტი უდარდელობისა სულაც არაფერი ეტყობოდა, ის კი არა, ცოტა შეფიქრიანებულიც კი ჩანდა. გაგანია საუბარში ვიყავით, არენა რომ ჩააბნელეს. სტუმარმა, ვითომც არაფერიო, დაიწყო და სიტყვა ძლივს ჩავუკერეთ. როცა განათებულ ადგილას მივედით, ფერნანდო სანტოსმა ეს თქვა:

— ბრაგაში ასეთი ანგარიშით მოგება ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ნამდვილად არ ველოდი ოთხბურთიან სხვაობას, მაგრამ რას იზამ, დინამოელებმა ერთი ხეირიანი კომბინაცია ძლივს გაითამაშეს.

**— წინა მატჩის შედეგი ლოგიკური იყო?**

— ვფიქრობ, „ბრაგა" გაცილებით მეტს იმსახურებდა, ვიდრე მიაღწია. ოთხი გავიტანეთ, ერთი ამდენი საგოლე მომენტი კი ქარს გავატანეთ. „დინამომ" თავისი პოტენცია სრულად ვერ გამოავლინა. თქვენებურებზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა, მეგონა, უკეთესი გუნდი გეყოლებოდათ. მოკლედ რომ გითხრათ, „ბრაგა" „დინამოზე" ათი თავით მაღლა იდგა, აქედან გამომდინარე, შედეგიც ლოგიკურია.

**— შემდეგ წრეში უკვე გასული ხართ?**

— კარგი იქნება, თუ ასე მოხდება. ბრაგაში მოგება ჩვენ უფრო გვინდოდა და მიზანსაც მივაღწიეთ. ხვალაც თუ მოვინდომებთ, ორი მატჩის ჯამში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ისე, მაინც ვშიშობ, რა იცი, ფეხბურთია, შედეგის წინასწარ თქმა რთული საქმეა, ყველაფერი ხდება.

*პორტუგალიელთა მწვრთნელს ვილაც ახმახმა მამაკაცმა ხელი მოჰკიდა — წამო, წამო ფეხბურთელები გველოდებიანო. ეტყობოდა, კლუბის ხელმძღვანელთაგანი იყო. სანტოსმაც ზრდილობიანად მოვვიბოდიშა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. ჩვენ კი „დინამოს" გამაწვარებელი „ბრაგას" შავკანიანი თავდამსხმელი ტონი დუარტე მოვიხელთეთ.*

**— თბილისში მოსაგებად ჩამოხვედით?**

— რაც ბრაგაში შევძელით, იმის განმეორება თბილისში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ თავს არ დავზოგავთ და ვიბრძოლებთ. ისეთივე ანგარიში, რა თქმა უნდა, სასურველია. თბილისში მუზეუმის დასათვალიერებლად არ ჩამოვსულვართ. უნდა ვითამაშოთ, თამაშისას კი ყველაფერი გამოჩნდება.

**— პორტუგალიურ მატჩზე რას იტყვით? ელოდით ასეთ შედეგს?**

— მოგებას ვგეგმავდით, გვინდოდა, თბილისში წამოსვლამდე სოლიდური ფორისთვის მიგვეღწია. ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით მოგებას კი ვერ წარმოვიდგენდი. გაგვიმართლა, ბრაგაში „დინამომაც" კარგად ითამაშა, მაგრამ ჩვენ უკეთ გამოგვივიდა.

**— თბილისში აპირებთ გოლის გატანას?**

— ეს ჩემი მოვალეობაა. გამიხარდება, თუ შევაგდებ. უფრო კი ჩვენი შემდეგ ეტაპზე გასვლა მესიამოვნება. ღმერთმა იცის, ხვალინდელი მატჩი როგორი ანგარიშით დამთავრდება.

იხილეთ მეორე გვერდი



აბა, მაშინ გენახათ!



გუშინ ეროვნულ სტადიონზე: „ბრაგამ" „დინამოსთან" მატჩამდე ბოლოჯერ გაივარჯიშა

# ყურადღება! იწყება... არეულობა

უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის ამასწინდელმა ვიზიტმა სპორტის დეპარტამენტის და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებს შორის ატეხილი დავა-კამათი ვითომ კი ჩააცხრო, მაგრამ სტუმარი ქართველთა მომრიგებლად თბილისში ხომ ველარ დაგვირჩებოდა. დაპირისპირებულები კი დარჩნენ და ახალი ძალით აპირებენ შებმას.

ხვალ, 12 საათზე პარლამენტის შესაბამის კომიტეტში ფეხბურთის საქმეები გაირჩევა. დეპარტამენტის წარმომადგენლები იქ აუცილებლად იქნებიან, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, თავყრილობას ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ დაესწრება.

დეპარტამენტმა ყველა რაიონის სპორტკომიტეტის თავკაცს აცნობა, 5 ნოემბერს პარლამენტში ფეხბურთის საჭირბოროტო საქმეებს განვიხილავთ და ყველა გუნდის წარმომადგენლიტურთ აქ იყავითო. ამ ამბის შემტყობმა ფედერაციამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, აქაოდა, ფედერაციის გვერდის ავლით გუნდების მწვრთნელებისა და პრეზიდენტების დაბარებას როგორ ბედავთო, ეს ხომ ჩვენს საქმეებში უხეში ჩარევააო. მოკლედ, ხვალ ფედერაციიდან პარლამენტში ალბათ არავინ მივა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელებიც აქტიურად ამოქმედებას აპირებენ. კერძოდ, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, გუნდების პრეზიდენტებს და მწვრთნელებს ფედერაციიდანაც დაკავშირებიან, ოღონდ რაზე ესაუბრენენ და რა მითითებები მისცეს, ჩვენთვის უცნობი დარჩა. ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსმა კი ეს მოგვახსენა — ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო წერილს ამზადებს, სადაც ყველაფერი დალაგებით იქნება აღწერილი და მას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას გავუგზავნითო. ფედერაციამ ოფიციალურად მხოლოდ ეს გამოიმეტა და ჩუმად თავისი საქმის კეთება დაიწყო. ადრე დაგეგმილი აღმასკომის თუ სადისციპლინო კომისიის სხდომები გადაიდო. აღმასკომი პარასკევს უნდა შემდგარიყო, მაგრამ მისი წევრები ფედერაციის ხელმძღვანელებთან საიდუმლო თათბირს დასჯერდნენ.

მოკლედ, ხვალიდან დიდი დაპირისპირება იწყება. უკან დახევას და პოზიციების დათმობას არცერთი მხარე აპირებს. ჩვენი აზრით, ამ ორთაბრძოლას გამარჯვებული არ ეყოლება, დაზარალებული კი ქართული ფეხბურთი გამოვა.

**მამუკა ძვანტალიანი**

## ათენში წილი იყარა

გუშინ ათენში აქვე საგაისოდ გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა მოეწყო.

ა ჯგუფი: საბერძნეთი, კანადა, იტალია, სენეგალი
ბ ჯგუფი: იუგოსლავია, პუერტო რიკო, რუსეთი, იაპონია
გ ჯგუფი: აშშ, ბრაზილია, ლიტვა, კორეა
დ ჯგუფი: ავსტრალია, არგენტინა, ესპანეთი, ნიგერია

ჯგუფებიდან პირველი სამ-სამი გუნდი შემდეგ ეტაპზე გადის, მეოთხენი კი მე-13-მე-16 ადგილებს გაითამაშებენ.

# ნეტარ არიან მორწმუნენი

RUGBY WORLD CUP 1999

რაც დრო გადის, ქართულ სარაგბო საზოგადოებას უმტკიცდება რწმენა, რომ ჩვენი „ბორჯღალოსნებისგან" დანიის სტუმრად ძლევა დიდი მიღწევაა. თბილისში ლამისაა ლეგენდები დადის სკანდინავთა სიძლიერის შესახებ. რაგბში ოდითგან ჩახედული ხალხი ამბობს, დანია ბევრად ჯობს ხორვატიას და იქნებ რუსეთსაცო.

ერთობ აქებენ ჩვენს დაცვასაც. მრისხანე დანიამ იგი თურმე იმად ვერ გაარღვია, რომ ფრანგმა მწვრთნელმა სორელმა ჩვენებს ფრიადი ორგანიზებულობა ჩაუნერგა. აკი დანია — საქართველოს მატჩის შოტლანდიელ მსაჯსაც შეუნიშნავს, ასეთი დაცვა არსად მინახავს — თქვენები თან პატიოსნად იცავდნენ თამაშგარეს ხაზს და თან მეტოქეებს უწყალოდ ბოჭავდნენო.

ნეტარ არიან მორწმუნენი. თუ რისი მაქნისია დანია, თვალნათლივ გამოჩნდა შაბათს, პიაჩენცაში, სადაც მასპინძელმა იტალიამ ჩრდილოელები 102:3 გაასივა. როიტერი ირონია შეპარვით შენიშნავს, პირველი ნახევარი საპატიო ანგარიშით — 38:3 დასრულდაო.

იტალიისგან დანიის ამგვარი გაუპატიურება არ უნდა გაგვიკვირდეს. ლათინთა ქვეყანა ბარემ ათი წელია ითხოვდა ხუთი ერის პირველობაზე დაშვებას. და აი, ორშაბათს რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) კანადელ პრეს-მდივან პიტერ მაკმულანს ბოლოსდაბოლოს განუცხადებია, იტალიას 2000 წლიდან შეიწყნარებს ხუთი ერიო. ეჭვი არაა, დანიის გათახსირებას ეს განცხადება არანაირად დაუჩქარებია.

ხუთი ერის ექვსად გარდაქცევა იმდენად დიდი ამბავი, რომ ბრიტები ერთმანეთს სისტემატურად 1883 წლიდან ეთამაშებიან, ფრანგები კი ამქარში 1910 წელს მიიღეს. 1960-70-იან წლებში შეჯიბრში ჩართვა რუმინეთს სურდა, მაგრამ მაშინ ბობოლები ერთობ შეუვალი აღმოჩნდნენ.

მაკმულანმა მედიას სხვა საგულისხმო სიახლეებიც გაუმხილა. ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე რაგბის წარმომადგენლად ირბ-ს შვიდკაცას გაყვანა სურს. ამის შემდეგ შვიდკაცას მსოფლიო თასი თურმე უნდა გაუქმდეს.

გარდა ამისა, გაისად „ჰაინეკენის" საკლუბო თასის უმცროს ლიგაში, სახელად ევროპის კონფერენცია რომა ქვია, გაისად დაუშვებენ გერმანიისა და ესპანეთის ეროვნულ გუნდებს. არადა, ჩვენში დღემდე გულუბრყვილოდ წამთ, რომ თუ მსოფლიო თასის შემდეგ ეტაპზე გავალთ, დასავლეთი ევროპა მისგან ჩვენს დაშორებულობას დაივიწყებს და გულში ჩაგვიკრავს.

**ზაზა ფხაკაძე**

## მსოფლიო თასის ევროპის ზონის „ა" ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 48: 23 | 4 |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 102: 3 | 2 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 38: 45 | 2 |
| რუსეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 16: 23 | 0 |
| დანია | 2 | 0 | 0 | 2 | 11:121 | 0 |

*საგაისო მატჩები: 11.04. იტალია — საქართველო; 18.04 რუსეთი — იტალია; 2.05 რუსეთი — დანია; 16.05 დანია — ხორვატია; 20.05 საქართველო — რუსეთი; 30.05 ხორვატია — იტალია*

# შელია ოცი წლის რომ იყოს...

ადრე „ალანიას" მთავარ მწვრთნელს უთქვამს, უქართველებოდ გუნდის დაცვა წარმოუდგენლად მიმაჩნიაო. დამეთანხმებით, გაზაევის სიტყვები გადაჭარბებული სულაც არ არის. ბოლო დროს ოსთა უპირველეს გუნდს რაიმე წარმატებისთვის თუ მიუღწევია, ისევ ჩვენებურებს უნდა უმადლოდნენ. იქნებ ახლა თქვათ, მიმდინარე სეზონში „ალანიაში" ერთბაშად ხუთი ქართველი თამაშობს, რუსეთის ჩემპიონატი დღე-დღეზე მთავრდება, ესენი კი სადღაც ცხრილის შუაგულში იმყოფებიანო. კი, ბატონო, ასეა, წლევანდელი სეზონი აშკარად ჩაუვარდა გაზაევსა და მის გუნდს, მაგრამ ქართველები მაინც არაფერ შუაში არიან. აშვეთიას გარდა, რომელიც გვიან შეუერთდა „ალანიას", თითქმის ყველა ქართველი ტრავმებმა გატანჯა, ამათგან ორმა — ცხადაძემ და შელიამ კი, ფაქტობრივად, ნახევარი სეზონი გამოტოვეს. ცხადაძეს კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი. ოდნავ მოუშუშდებოდა და გაზაევი უმალ სათამაშოდ უხმობდა, გამოჯანმრთელებას ბოლომდე არც აცლიდა. იგივე მდგომარეობაში იყო აწ უკვე ყოფილი ალანიელი მურთაზ შელიაც. თუმცა, იგი გაცილებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, საოპერაციო შეიქნა და თამაშებიც მრავლად გააცდინა, ხოლო როცა თამაშობდა, გაზაევსა და კომპანიას ერთი აუგიც არ დასცდენიათ. ვერც ვერაფერს ეტყოდნენ, იგი ხომ მთელი სამი წლის მანძილზე ამყარებდა „ალანიას" დაცვას. მართალია, ბოლო დროს მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა დაიძაბა, გაზაევი მის ტრანსფერზე დაყენებასაც აპირებდა, მაგრამ მერე გული მოიბრუნა, შელიას რამდენჯერმე დაუკავშირდა, თბილი სიტყვა არ დაიშურა და „ალანიაში" დაბრუნება სთხოვა. ქართველმაც არ გააწბილა, რამდენჯერმე ითამაშა კიდეც, ოღონდ აშკარა იყო — შელია დიდხანს ოსეთში გამჩერებელი აღარ იყო, „ალანიასთვის" საკმაოდ გადამწიფდა. ბევრი წინადადებაც მიიღო უცხოური, სახელოვანი კლუბებისგან, ამათგან კი გიორგი ქინქლაძის „მანჩესტერ სიტი" ირჩია.

ინგლისური „ლივერპული", „კრისტალ პალასი", იტალიური „უდინეზე" და სხვა გუნდებიც სერიოზულად დაინტერესდნენ შელიას გადაბირებით. თითქოს გადაწყვეტილიც იყო, მისი „ლივერპულში" გადასვლა, მაგრამ.. მურთაზთან საუბარიც სწორედ აქედან დავიწყეთ.





მურთაზ შელია გიორგი ქინქლაძეს: გადავალთ პრემიერლიგაში?

**— გვეგონა, „ლივერპულში" გადადიოდი, „სიტისთან" კი მოაწერე ხელი.**

— მეც ასე ვფიქრობდი, ინგლისელები ძალიან მოწადინებულნი იყვნენ, მაგრამ რა მოხდა, ვერ გავიგე. როცა კონკრეტულად ინგლისში ჩასვლაზე მიდგებოდა საქმე, ცოტაც მოიცადე, ამ დღეებში კიდევ შეგეხმიანებითო, მეუბნებოდნენ. გავიდოდა რამდენიმე დღე, მართლაც დამირეკავდნენ, მომიკითხავდნენ და იგივეს მეუბნებოდნენ. ბოლოს მითხრეს, ერთი თვე გვაცალე, კიდევ დაგაკვირდებითო. ბავშვი ხომ არ ვიყავი. საკმარისად მიხილეს საქმეში და თუ უნდოდათ, აქამდე უნდა გადაეფიქრებინათ. როდემდე მეცადა? მე მგონი, ინგლისელები რუსეთის ჩემპიონატის დამთავრებას ელოდნენ, შემდეგ თავისუფალი აგენტი ვხდებოდი და უფულოდ ჩამიგდებდნენ ხელში. თუმცა, საკომპენსაციო თანხის გადახდა მაინც მოუწევდათ.

**— „კრისტალ პალასიც" გეძახდა?**

— ესენიც „ლივერპულის" მსგავსად იქცეოდნენ. მოცდა კი აღარ შეიძლებოდა. სწორად გამიგე, ოცი წლის ბიჭი აღარ ვარ, მარტში 29 წელი შემისრულდება. „სიტიმ" კი ძალიან გამოიდო თავი, კარგი საკონტრაქტო პირობებიც შემომთავაზა და ხელიც მოვუწერე. ცოტა პატარა რომ ვიყო, კიდევ დავფიქრდებოდი, გადაწყვეტილებას ასე იოლად არ მივიღებდი, მოვიცდიდი, ადრე თუ გვიან რაიმე ხომ მაინც გამოჩნდებოდა? ისე, არც ახლაა დაგვიანებული „ლივერპულში" ან სხვა გუნდებში გადასვლა. იქვე არ ვარ, თუ ვინმე დაინტერესდება, არა მგონია, იმდენი ფული მოთხოვონ „სიტის" ხელმძღვანელებმა, უსაშველო გადასახდელი იყოს.

**— „ალანიას" რამდენი ერგო?**

— ხუთასი ათასი ფუნტი. ასე შეაფასა „ალანიამ" ჩემი ტრანსფერი. მართალია, „ლივერპული" გაცილებით ნაკლებს გადაიხდიდა სეზონის დასრულებისას, მაგრამ „სიტიმ" არაფერი დაიშურა ჩემს შესაძენად, „ლივერპულსაც" აჯობა და სხვა გუნდებსაც.

**— რეკომენდაცია ქინქლაძემ გაგიწია?**

— რა თქმა უნდა, გიოსაც ჰქონდა ჩემს შესახებ ნათქვამი. ინგლისელებმა „უემბლიზე" თამაშისას დამადგეს თვალი, შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დამზვერეს და პირდაპირ მითხრეს — შენი შეძენა გვსურსო. სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, 2000 წლამდე „სიტის" საკუთრება ვარ. თუმცა, კონტრაქტში ისეთი პუნქტიცაა, რომლის თანახმადაც, ერთი წლის მერე შემიძლია, კიდევ გადავხედო. ინგლისში ყოფნისას ჩემი ახალი კლუბის ერთი თამაში ვნახე. დავრწმუნდი, დაცვაში მთლად კარგად ვერ აქვთ საქმე. მიზნები კი იცოცხლეთ — პრემიერლიგაში დაბრუნება სურთ.

**— დაბრუნება დაბრუნებად, მაგრამ ნამეტანი გვიანი ხომ არ არის?**

— შანსები კიდევ გვაქვს. ჯერ მხოლოდ 15 ტურია ნათამაშევი. პრემიერლიგაში მხოლოდ გამარჯვებული კი გადადის, მაგრამ დანარჩენ ექვსს გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობაც შეუძლია. რა ვიცი, ამბობენ, მოსალოდნელია, ექვსეულში მოვხვდეთო. ვნახოთ, ისიც მითხრეს, შენთან ერთად კარგ გუნდს გავაკეთებთ, გიოც დაგვეხმარება და ვიბრძოლოთო. პრეზიდენტი ფრენსის ლიც მეტად კმაყოფილია ჩემი შეძენით. კონტრაქტი სულაც მის სახლში გავაფორმეთ.

**— „სიტის" ცხადაძის შეძენაც სურდა.**

— კახიზე ისევ ფიქრობენ. ახლა ჩემზეა დამოკიდებული მისი ტრანსფერის ამბავი. თუ ნორმალურად ვითამაშებ, მწვრთნელის მოთხოვნებს დავაკმაყოფილებ, მაშინ ცხადაძესაც დაელაპარაკებიან.

**— ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება არ უნდა გაგიჭირდეს.**

— არა მგონია. ჩემი ოცნება მუდამ ინგლისში თამაში იყო. ახლა სამუშაო ვიზას ველოდები. ორ კვირაში ყველაფერი გაკეთდებაო, მითხრეს. უკვე ათი დღე გავიდა. დღე-დღეზე ინგლისს გავფრინდები და ოცნებასაც ავისრულებ. ნორმალურ ფორმაში ვარ. ყოველდღე დილმის ბაზაზე ვვარჯიშობ. მანჩესტერში ჩასვლისთანავე ვითამაშებ.

**— ენის ბარიერი ხელს არ გიშლის?**

— ჯერჯერობით გიო დამეხმარება. კიდევ რვა თვე დარჩა „სიტიში" სათამაშო. რვა თვეში კი ინგლისურსაც ვისწავლი. ეგ ნამდვილად არაა პრობლემა.

**— ნატკენი ფეხი საბოლოოდ მოიშუშე?**

— საერთოდ აღარ მაწუხებს. ამ ტრავმამ შემიშალა ხელი, თორემ ახლა შეიძლება იტალიის „უდინეზეში" მეთამაშა. მოლდოველებთან შეხვედრისას უნდა ჩამოსულიყვნენ ბათუმში ჩემი თამაშის სანახავად. სამწუხაროდ, იმ დღეს ყავარჯნით ძლივს დავდიოდი, ოპერაცია ახალგაკეთებული მქონდა. ტრავმირებული ფეხბურთელის შეძენას კი ყველა კლუბი რომ ერიდება, ვფიქრობ, ახალი არაა.

ჩვენი საუბარიც აქ მორჩა. ხვალ-ზეგ მურთაზ შელია „მანჩესტერ სიტიში" პირველად ითამაშებს და მისივე თქმისა არ იყოს, ოცნებასაც აისრულებს. ღმერთმა ქნას, მურთაზის საქმეები ინგლისში ისე კარგად წასულიყოს, „ლივერპულს" და სხვა კლუბებს თავში ხელი შემოერტყათ — ეს რა მოგვივიდა, „სიტის" როგორ დავუთმეთ ასეთი ფეხბურთელიო. მერე კი დაეწყოთ წინ და უკან სირბილი, იქნებ როგორმე ჩვენს გუნდში გადმოვიბიროთო...

**კობა ინასარიძე**



# ილმაზი, შენა ხარ უჟასი...

გუშინ ტრაბზონში გოჩა ჯამარაულს შევეხმიანეთ. ბუნებრივია, ახალი ამბები გვაინტერესებდა. მიზეზთა და მიზეზთა გამო ხომ გოჩამ „ტრაბზონი" დატოვა, კარგახანს თბილისში მარტო ვარჯიშობდა დიღმის ბაზაზე. მისით დაინტერესებულ კლუბთაგან ყველაზე რეალურ წინადადებას ელოდა, რომ მოულოდნელად თურქეთიდან დაუკრეს — ტრაბზონში ჩამოდი, გელოდებითო. ჩვენებურის ამთვალმწუნებელი მწვრთნელი ილმაზი კლუბის სამზარეულოში ნამეტანი ცხვირის ჩაყოფისთვისგუნდიდან გააგდეს და მის ნაცვლად მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება ოსკარ სუმერისთვის დაუვალებიათ. სწორედ სუმერმა დაურეკავს ჯამარასთვის და სასწრაფოდ ჩასვლა უთხოვია. ეს ყველაფერი პოლონელებთან მატჩის წინ დავწერეთ. ახალს კი იმას მოგახსენებთ, რომ „ტრაბზონს" ბოლო ტურის მატჩში „იზმირი" 3:0 უძლევია. გოჩა ჯამარაულს მთელი თამაში შეუცვლელად ჩაუტარებია. ერთი-ორჯერ მისთვის ჩვეული პასებით პარტნიორები მეკარესთან პირისპირაც დაუტოვებია, მაგრამ თავდამსხმელებს ვერ შეუგდიათ. „კარგ ფორმაში ვარ, სუმერი ჩემი თამაშით კმაყოფილია და ქათინაურებსაც მრავლად მეუბნება" — გვითხრა გოჩამ. არც არის გასაკვირი, მას ხომ ქართველები ძალიან უყვარს, პატივს სცემს. სუმერის მონდომების შედეგად ჯამარაულს კუთვნილი ხუთი თვის ხელფასიდან ორისა უკვე მიუღია, დანარჩენზე ამ დღეებში დაველაპარაკოთო — უთქვამს მილიონერ პრეზიდენტს. იმ ფულის არგადახდის მიზეზი კი დაჯარიმება ყოფილა — აქაოდა, გუნდი უნებართვოდ რატომ დასტოვეო. ოსკარ სუმერი ადრე თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ყოფილა, შემდეგ ტრაბზონის კლუბში ბავშვთა მწვრთნელად დაუწყია მუშაობა, იმ გადარეული ილმაზის თავკაცობისას კი მეორე მწვრთნელიც გამხდარა. გოჩას თქმით, მართლაც კარგი კაცი, თავის საქმის მცოდნე და პატიოსანი ადამიანია. ჯამარაულს იმედი აქვს, რომ მის ხელში კიდევ უფრო წარმატებით ათამაშდება. მოკლედ, თურქეთში დაბრუნებული გოჩა ჯამარაულის საქმეები კარგად მიდის, მწვრთნელიც სწყალობს, რომელსაც გოჩასთან ერთად გაჩემპიონების იმედი აქვს.

ჩემპიონობის შანსი „ტრაბზონს" ჯერაც კარგი აქვს. მესამე ადგილზე იმყოფება და ლიდერ „ფენერბაჰჩეს" ოთხი ქულით ჩამორჩება. 9 ნოემბერს მეტად პრინციპული გასვლითი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი „გალათასარაისთან". მასთან მოგებით კი ჩემპიონობაზე ფიქრი სავსებით რეალური იქნება. ოღონდ ეგაა, კლუბში ცოტა არ იყოს, უცნაური ვითარებაა შექმნილი. ილმაზმა ჯამარას ნაცვლად სამი უცხოელი რომ მიიყვანა „ტრაბზონში", პრეზიდენტს თურმე მათთვის ხელფასი საერთოდ არ მიუცია. ფეხბურთელები უეფაში ჩივილით დამუქრებიან „ტრაბზონის" ხელმძღვანელებს. მათ კი უთქვამთ, ილმაზმა თქვენ რომ მოგიყვანათ, შუამავლობით დიდი ფული იშოვნა და იმას მოსთხოვეთო. სინამდვილეში რა არის ხელფასების გადაუხდელობის მიზეზი, ზუსტად მაინც არ ვიცით. ფაქტი ერთია — „ტრაბზონის" პრეზიდენტი დიდძალი ფულის პატრონია.

რაც შეეხება ჯამარაულის სამომავლო გეგმებს, დეკემბრის ბოლომდე ყველა შემთხვევაში თურქეთში უნდა იყოს. მას ამ ეტაპზე „ტრაბზონიდან" წასვლა სისულელედ მიაჩნია.

**კობა ინასარიძე**

# განი-გამონი, ბრაგა მაინც ბრაგაა

დასაწყისი პირველ გვერდზე

*ყველაზე ენაწყლიანი მოსაუბრე რუსი თავდამსხმელი დმიტრი პროკოპენკო აღმოჩნდა. იგი „როტორის" მთავარ მწვრთნელ ვიქტორ პროკოპენკოს ნათესავად არ ერგება, მოსკოვში დაბადებულ-გაზრდილი და მოსკოვისავე „ტორპედოში" ფეხადგმული მოთამაშეა.*

**— როგორ აღმოჩნდით „ბრაგაში"?**

— გულახდილად რომ გითხრა, ეს ღღემდე ჩემთვისაც გამოცანად რჩება. შარშან მოსკოვის „ტორპედოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" ვთამაშობდი, ზაფხულში კი მენეჯერი დამიკავშირდა და სრულიად მოულოდნელად პორტუგალიაში გადასვლა შემომთავაზა — ვარიანტი მოგიძებნე და თანახმა თუ ხარო. რაღა დაგიმალოთ, გამიხარდა, ასეთ საფეხბურთო ქვეყანაში თამაშის შანსი რომ გამომიჩნდა და ბევრი აღარ მიფიქრია, დავთანხმდი. თუმცა, ჩემი კარიერის ასე შემობრუნებას ნამდვილად არ ველოდი.



დმიტრი პროკოპენკო

**— არც იმას, რომ ძირითადში თამაში ნაკლებად მოგიწევდათ?**

— რა თქმა უნდა, სკამზე დასაჯდომად ასე შორეულ ქვეყანაში წასვლა ნაღდად არ მსურდა, მაგრამ „ბრაგაში" სულ რაღაც ორი თვეა, რაც გადავედი და ბუნებრივადაც მიმაჩნია, რომ ჯერ ფეხი მყარად ვერ მოვიკიდე, ენაც თითქმის არ ვიცი. ჯერ მხოლოდ გინება მესმის. თუმცა, მთლად უცხოდაც არ ვგრძნობ თავს, მეკარე ვიზნიაკი პოლონელია, თავდამსხმელი კაროგლანი ხორვატი და მათთან ურთიერთობა რუსულად შეიძლება.

**— „დინამოს", ალბათ, ბრაგელებიდან ყველაზე უკეთ იცნობდით. შარშან თქვენს „ტორპედოსაც" შეხვდა უეფას თასზე და, ბუნებრივია, მის შესაძლებლობებზე მეტ-ნაკლებად წარმოდგენაც გექნებოდათ. რეალური „დინამო" მისგან ბევრად განსხვავდებოდა?**

— პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში აზრი არ შემცვლია, ნორმალურად გამოიყურებოდა, შემდეგ ვერ მივხვდი, რა დაემართათ. მეორე ტაიმში კი, ვფიქრობ, დაიღალნენ, თუმცა, შეეძლოთ ბოლო ორი გოლი არ გაეშვათ.

**— პორტუგალიელებმა რა თქვეს?**

— ბუნებრივია, გახარებულნი დარჩნენ, თუმცა, ჩემსავით „დინამო" უფრო ძლიერი ეგონათ. მათ უკვე ეჭვიც არ ეპარებათ, რომ შემდეგ წრეში გავლენ და სჯერათ, თბილისში დიდ წინააღმდეგობას ვერ წააწყდებიან.

*...საუბრისას „ბრაგას" მოთამაშეებმა ჩაგვიარეს და ერთ-ერთმა მათგანმა პროკოპენკო წრიპინა ხმით „დმიტრიი-დმიტრიის" ძახილით გამოაჯავრა.*

**— ჩანს, უკვე გაუშინაურდით...**

— მხოლოდ ასეთი შეძახილებით, მხარზე ხელს დამარტყავენ და ცდილობენ, მეგობრულად მომექცნენ, მაგრამ ენა არ ვიცი და რას მეუბნებიან, არ მესმის.

**— „ბრაგას" განმეორებით თამაშში როგორი შანსი აქვს, მოიგებთ?**

— ალბათ. რატომ ვერ უნდა მოვიგოთ?

**— პორტუგალიაში ერთი ჩვენებურია.**

— გოჩა ქოქოშვილზე მეკითხებით, არა? მას კარგად ვიცნობ, ვმეგობრობ კიდეც და ხშირად [illegible] ფეხბურთელი ერთხანს ვერ თამაშობდა, მაგრამ მოიკონინდა. „ბე-ლენენსეში" ახალი მთავარი მწვრთნელი დაინიშნა, რომელიც [illegible] კარგი თვალით უყურებს და არ მალავს, რომ ქართველზე იმედს ამყარებს.

**— „დინამოს" განადგურება რისი ბრალი იყო?**

— მე მგონი, ნახევარდაცვის მეტად სუსტი თამაშის. თქვენებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ერთხელ ვოზნიაკის კართან სახიფათო მომენტის შექმნა. თანაც ფიზიკურად სუსტად გამოიყურებოდნენ.

**— ალბათ, ამ სეზონში ეს „ბრაგას" საუკეთესო თამაში იყო...**

— სხვათა შორის, არ გახლავთ ასე. თბილისში წამოსვლამდე „მარიტიმუს" ვხვდებოდით და მარცხიანი დასაწყისის მიუხედავად, თამაშში გარდატეხა შევიტანეთ, მართლაც ლამაზი გამარჯვება მოვიპოვეთ. „დინამოსთან" მოგება ამდენად არ გაგვხარებია.

**— „დინამომ" „ბოავიშტასთან" და „ბრაგასთან" — პორტუგალიური ფეხბურთის ორ წარმომადგენელთან განადგურებელი ანგარიშით წააგო. ალბათ, ისინი უკვე ქართულ ფეხბურთს ამრეზით უყურებენ, არა?**

— ეს ბუნებრივია, არ გაგიკვირდეთ. თქვენ გგონიათ, ასე მარტო თქვენ ფეხბურთს უყურებენ? რუსულ ფეხბურთსაც დაბალი დონისად მიიჩნევენ. პორტუგალიელები ვარჯიშებზე კომბინაციებს ამუშავებენ და შემდეგ ამას თამაშისას იყენებენ. სათამაშო დისციპლინის დარღვევაზე ლაპარაკიც ზედმეტია. „დინამოს" თამაშში კი ასეთი კომპონენტები ვერ დაინახეს.

*დღევანდელი თამაშისთვის, ბუნებრივია, პორტუგალიაში მეორედ სირცხვილნაჭამი „დინამოც" ემზადება. სათამაშოდ ვერ გამოვა კახა გოგიჩაიშვილი, რომელმაც პორტუგალიაში მეორე გაფრთხილება მიიღო. როგორც შევიტყვეთ, დღეს ყოფიანი სამი თავდამსხმელით აპირებს თამაშს. მწვრთნელს პირველივე წუთებიდან შეტევა განუზრახავს. ისიც გავიგეთ, რომ კარში ჭანტურია იქნება. დანარჩენებიც მწყობრში არიან და მოგებას გვპირდებიან, ოღონდ საკითხავია, როგორს. ვათამაშებიდან გამოთიშვა ჩვენთვის ვერაფერი ნუგეში იქნება.*

*„დინამო" — „ბრაგას" ჩრდილოირლანდიელი არბიტრები განსჯიან. მთავარ მსაჯს სნოდს ჰილსი და ჩემბერსი მიეხმარებიან. სათადარიგოდ ფერია გამწესებული. უეფამ ამათი ზედამხედველიც კი გამოაგზავნა. მსაჯებს მეთვალყურეობას თურქი ჰასან ჩელლანი გაუწევს, ხოლო უეფას დელეგატი დანიელი კაი ოსტერგაარდია.*

**კობა ინასარიძე**
**მამუკა ქვანტალიანი**
**მერაბ მამულაშვილი**
**ბადრი ქეთილაძე (ფოტო)**



ბალთაზარი და ტონი დუარტე

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## ფეხბურთის რუკასთან



რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი განუახლა ნაკრების მწვრთნელს ანგელ იორდანესკუს. იორდანესკუს ძველი ხელშეკრულების ვადა ოქტომბერში ამოიწურა, ახალი კი ათთვიანია და 100 ათას დოლარიანი. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი, რომელმაც მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა, მომავალ ზაფხულზე, საფრანგეთში კვლავ რუმინელთა ხელმძღვანელი იქნება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ხელშეკრულების განახლებისა, ფედერაცია იორდანესკუს ფინანსურ პრეტენზიებს არ დაეთანხმა. ამბობენ ამის გამო რამდენიმე წამყვან მოთამაშეს ფედერაციის ჩინოვნიკებთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ამასობაში კი, გაიმართა მე-14 ტური: ოცელული — არჯეში 1:0, სტიაუა — პეტროლული 0:1, ნაციონალი — დინამო (ბუქარესტი) 1:1, ფორესტა — ჩახლაული 1:1, ჟიული — ხინდია 0:1, რესიტა — რაპიდი (ბუქარესტი) 1:6, ბაკაუ — უნივერსიტატია (კრაიოვა) 0:1, უნივერსიტატია (კლუჟი) — ფარული 3:0, გლორია — სპორტული 1:1. 34 ქულით ლიდერობს ოცელული, 32 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ რაპიდი (ბუქარესტი) და სტიაუა.

ესპანური ამბებიდან აღსანიშნავია „ტენერიფეს" თავდამსხმელის ხუანელეს ოთხდღიანი პატიმრობა, რომელიც ფეხბურთელის სამნახევარი წლის წინ ჩადენილი საქციელისთვის მიუსაჯეს. საუბარია 1994 წლის 24 მარტს სანტანდერში მომხდარ ინციდენტზე, როდესაც ხუანელე ჯერ კიდევ ხიხონის „სპორტინგში" გამოდიოდა და სანტანდერში „რასინგთან" სათამაშოდ იყო ჩასული. მაშინ, თამაშის შემდეგ გამართული რაღაც დისკუსიის დროს თავდამსხმელმა გალანძღა ქალაქის მერის ძმისშვილი ივნასიო უერტა, რომელმაც აჩივლა და შეურაცხმყოფელის ექვსი თვით დაპატიმრების გარდა 2500 დოლარის კომპენსაცია ითხოვა. აღსანიშნავია, რომ უერტამ ერთი წლის წინ სარჩელი უკან გამოიტანა, მაგრამ ხუანელე ოთხდღიან ციხეს მაინც ვერ ასცდა. რაც შეეხება „სელტას", მას სხვა დარდი აქვს. გუნდს არ სურს, რომ მისი იუგოსლაველი მცველი გორან ჯოროვიჩი ნაკრებში გამოიძახონ და ამისთვის იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა. შევახსენებთ, რომ ჯოროვიჩმა და მისმა თანამემამულეებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი-ოფში, ბუდაპეშტში 7:1 მოუგეს უნგრეთს და ახლა საპასუხო შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი. ჯოროვიჩს ეტყობა ამ უქმ თამაშში მონაწილეობის მიღება ეზარება და ამიტომ კლუბში დარჩენას ამჯობინებს. „სელტა" 2 ნოემბერს „მალიორკას" მასპინძლობს, ხოლო 16-ში „ბარსელონას" „კამპ ნოუზე" ეწვევა. შევახსენებთ, რომ მსოფლიო პირველობის შესარჩევი პლეი-ოფის საპასუხო თამაშები 15 ნოემბერსაა დანიშნული. მესამე დივიზიონის კლუბის „რასინგ ფეროლის" გოლკიპერი ინიგო არტიგა კი, ესპანეთის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც კარიდან კარში გოლის გამტანი პირველი მეკარე. მორიგ ტურში „მოალოსთან" თამაშისას 70-ე წუთზე მან საკუთარი საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ხოსე პერალიტას გაუტანა. ასეთი რამ აქამდე ესპანეთში არ მომხდარა.

პორტუგალიურმა „ბენფიკამ" შაბათს, ამ სეზონში პირველი მატჩი მოიგო სტუმრად. „ბენფიკამ" მოუგო „შავეშს" 1:0 და ამ მატჩს თვალს ადევნებდა მისი ახალი მწვრთნელი, „ლივერპულისა" და „რეინჯერსის" ყოფილი თავკაცი გრემ სუნესი. სუნესი „ბენფიკასთან" ორწლინახევრიან კონტრაქტს აწერს ხელს, რომელიც ძალაში ამ კვირის ბოლოს შევა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც პარასკევს კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს ჟოაო ვალე აზევედო. სუნესი ჟურნალისტებს უთხრა, მატჩის წინ ესაუბრა: „დიდი ამოცანის წინაშე ვარ. მესმის „ბენფიკას" ამბიცია და მისი ისტორიაც ვიცი" — ბრძანა სუნესმა.

კვიპროსის მე-6 ტური. ანორთოსისი — აელი 5:1, აპოლონი — ეთნიკოსი (ასშა) 4:0, ენოსისი — აპოელი 0:2, ომონია — სალამინა 6:1, აეკი — აპოპი 2:2, ევაგორასი — ანაგენისისი 2:2, ეთნიკოსი (აშნა) — ალკი 3:0. 18 ქულით ლიდერობს ანორთოსისი, 3 ქულით ნაკლები აქვს აპოლონს.

სლოვენიის მე-14 ტური. მურა — რუდარი 2:1, ოლიმპია — მარიბორი 3:1, პუბლიკუმი — პრიმორიე 6:2, გორიცა — ველენე 2:1, კოროტანი — პოტროშნიკი 2:1. 27 ქულით ლიდერობს მურა, ერთი ქულით ნაკლები აქვს გორიცას, ხოლო 25 ქულით მესამეა მარიბორი.

ჩეხეთის მე-11 ტური. სიგმა — ბოჰემიანსი 2:1, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ბანიკი 0:0, ლაუნე — სლოვანი (ლიბერეცი) 1:0, ვიქტორია (პლზენი) — პეტრა 1:5, იაბლონეცი — დუკლა 2:0, ტეპლიცე — კაუჩუკი 0:0, ჩესკე ბუდეიოვიცე — სლავია 2:1, სპარტა — ჰრადეც კრალოვე 1:0. 28 ქულით ლიდერობს სპარტა, 19 ქულით მეორეა სლავია.

ხორვატიის მე-12 ტური. ვარტექსი — ჰაიდუკი 2:1, ზაგრები — შამობორი 1:0, შიბენიკი — ოსიეკი 4:3, დრაგოვილიაცი — ზადარკომერცი 0:0, სლავენი — რიეკა 0:0. 28 ქულით ლიდერობს ჰაიდუკი, 24 ქულით მეორეა დრაგოვილიაცი.

ბულგარეთის მე-12 ტური. ლიტექსი — ლოკომოტივი (სოფია) 3:1, სპარტაკი (პლევენი) — მინიორი 2:1, ეტური — ბოტევი 1:0, სპარტაკი (ვარნა) — ლევსკი (სოფია) 1:3, ლოკომოტივი (პლოვდივი) — ლევსკი (კუისტენდილი) 2:1, მეტალურგი — ნეფტოხიმიკი 1:0, სლავია (სოფია) — დობრუჯა 3:1, ცსკა (სოფია) — ოლიმპიკი 5:0. 29 ქულით ლიდერობს ლევსკი (სოფია), 27 ქულით მეორეა ლიტექსი.

სლოვაკეთის მე-12 ტური. კოშიცე — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 4:1, ტატრანი — ლოკომოტივა 2:0, ხემლონი — ბარდეიოვო 2:1, ტრენჩინი — არტმედია 0:0, პეტრიმექსი — სლოვანი (ბრატისლავა) 2:2, სობოტა — დუნაისკა სტრედა 3:1, ინტერი (ბრატისლავა) — რუჟომბეროკი 3:0, სპარტაკი (ტრნავა) — ქოლინა 1:0. 30 ქულით ლიდერობს სპარტაკი (ტრნავა), 25 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ კოშიცე და ინტერი (ბრატისლავა).

ალბანეთის მე-8 ტური. ტირანა — ვლაზნია 1:2, აპოლონია — ოლიმპიკი 1:0, სოპოტი — ლაჩი 2:1, შკუმბინი — ბესა 2:0, ტომორი — სკენდერბეუ 1:0, ლუშნია — პარტიზანი 2:0, ფლამურტარი — ალბპეტროლი 4:0, ტეუტა — შკიპონია 4:1, ბილიში — ელბასანი 2:1. 18 ქულით ლიდერობენ ტირანა და ტეუტა.

ბრაზილიის 24-ე ტური. კორინთიანსი — რესიფი 0:1, ვიტორია — სანტოსი 2:0, ატლეტიკო (პარანაენსე) — ინტერნაციონალი 2:1, კრუზეირო — ბოტაფოგო 2:3, ჟუვენტუდი — ფლუმინენსე 1:1, გრემიო — გუარანი 1:4, პალმეირასი — გოიასი 3:3, ბრაგანტინო — უნიაო 1:0, პარანა — ატლეტიკო (მინეირო) 1:0, ვასკო და გამა — ბაია 3:1, პორტუგეზა — კრიციუმა 2:2, ფლამენგო — კორიტიბა 1:1. 23 თამაშიდან 51 ქულით ლიდერობს ვასკო და გამა, 48 ქულით მეორეა ინტერნაციონალი.

უნგრეთის მე-14 ტური. დიოშდიორი — დებრეცენი 2:0, ბანიასი — შტადლერი 3:0, გაზერი — ჰალადაში 1:1, დიორ ეტო — ბეკეშჩაბა 1:0, ტიზაკეჩკე — კიშპეშტი 2:1, მტკ — ვაშაში 3:1, ბვსც — ვაცი 0:1. 33 ქულით ლიდერობს დიორ ეტო, 29 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ მტკ და ვაშაში.

იუგოსლავიის მე-11 ტური. ზემუნი — ბუდუჩნოსტი 5:1, მლადოსტი — პროლეტერი 2:1, რადი — ვოივოდინა 0:2, ჰაიდუკი (კულა) — ჩუკარიჩკი 1:0, ცრვენა ზვეზდა — ჟელეზნიკი 2:1, ობილიჩი — პარტიზანი 1:2. 28 ქულით ლიდერობს ცრვენა ზვეზდა, 26 ქულით მეორეა ობილიჩი, რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს.

არგენტინის მე-11 ტური. ხიმნასია (ტირო) — ფეროკარილი 1:1, ხიმნასია (ლა პლატა) — ურაკანი 3:0, ბოკა ხუნიორსი — ლანუსი 0:1, უნიონი — როსარიო 1:0, პლატენსე — რივერ პლეიტი 2:5, ველეზი — ხიმნასია (ხუხუი) 2:1, რასინგი — დეპორტივო 1:0, ნეველს ოლდ ბოიზი — კოლონი 3:2, სან ლორენსო — ინდეპენდიენტე 3:1. 25 ქულით ლიდერობს რივერ პლეიტი, 24 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ხიმნასია (ლა პლატა) და ბოკა ხუნიორსი.

# ვილას ახსოვს იუვენტუსი

UEFA CUP

„ინტერი" უეფას თასის ორგზის მფლობელია. ასევეა „ლივერპულიც". ჰოდა, ამ საღამოს შეიძლება ერთმაცა და მეორემაც დასტოვონ უეფას თასის გათამაშება. დღეს ორივეს ფრანგული გამოცდა ელის.

თვით რონალდომაც ვერაფერი იღონა ორი კვირის წინ. „ლიონმა" მას და მის ფავორიტად შერაცხულ თანაგუნდელებს „სან სიროზე" მოუგო 2:1. „ლიონს" ამ სეზონში მასპინძელთა მძლეველის სახელი გაუვარდა. „ლიონი" ის გუნდია, რომელიც უპირველეს ყოვლისა თავს იცავს. მისმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა ბერნარ ლაკომბმა დაახლოებით ერთი თვის წინ ახლებური სისტემა შემოიღო. კლასიკური, ოთხმცველიანი ზონური დაცვა მან ისე გადააწყო, რომ დღეს საკუთარი კარის მიმდებარე ტერიტორიას „ლიონის" ხუთი ფეხბურთელი აკონტროლებს. ამ ხუთეულიდან ორი სტოპერი მოწინააღმდეგის თავდამსხმელებს პერსონალურად ეთამაშება. სხვათა შორის, ლაკომბი შაბათს „ინტერისა" და „პარმას" შეხვედრას დაესწრო და ერთობ შეშფოთებული დარჩა.

— აშკარაა, რომ მილანელებს თამაშის სისწრაფე გაუზრდიათ. დღეს გაცილებით მეტად უნდა ვუფრთხილდეთ ჯორკაეფსა და რონალდოს, ვიდრე ორი კვირის წინ — თქვა მან.

აზრი ჰკითხეს რონალდოსაც.

— „ლიონთან" დამარცხების შემდეგ მცირე თავისტკივილი მაწუხებდა. არ მგონია, განწირულები ვიყოთ. ვგონებ, შემდეგ ეტაპზე გასვლა სრულიად რეალურია — უპასუხა ბრაზილიელმა.

როგორც მოგახსენეთ, „ლივერპულსაც" ფრანგული გასაჭირი ადგას. მისი მეტოქეა „სტრასბური", გუნდი, რომელიც დღეისთვის ცხრილში მეთოთხმეტეა. პოლ ინსის გუნდი ნაცნობ მდგომარეობაშია. გასულ სეზონში თასების თასზე მას ასევე ფრანგულ მოწინააღმდეგესთან, „პარი სენ ჟერმენთან" ჰქონდა სტუმრად 0:3 წაგებული. მაშინ, საპასუხო შეხვედრაში „ლივერპულმა" მხოლოდ 2:0-ის მოგება მოახერხა. ახლა რა იქნება? გავიხსენოთ, რომ „სტრასბურმა" „ლივერპულამდე" უკვე იმოგზაურა ბრიტანეთში. წინა ეტაპზე მისი მოწინააღმდეგე გახლდათ „გლაზგო რეინჯერსი", თუმცა ეს შესაძლოა ბევრს არაფერს ნიშნავდეს.

— მორალურად „ლივერპულთან" ბრძოლისთვის მზად ვართ. ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ მეტოქე ჩვენზე გონიერი გუნდია, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენს ფეხებზე, იდაყვებზე და ხასიათზე იქნება დამოკიდებული — განაცხადა „სტრასბურის" თავდამსხმელმა ჟერარ ბაჩელიემ.

კიდევ ერთი: „ლივერპულში" დღეს შესაძლოა ითამაშოს მისმა გერმანელმა თავდამსხმელმა კარლ-ჰაინც რიდლემ, რომელმაც პირველი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, „სტრასბურს" კი არ ეყოლება დისკვალიფიცირებული პასკალ ნუმა.

რაკიღა ფრანგულ გუნდებზე ვსაუბრობთ, ისიც გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყანას შეჯიბრებაში კიდევ სამი მონაწილე ჰყავს. მათგან ყველაზე ცუდი დღე დღეს ალბათ „მეცს" ადგას, რომელმაც ორი კვირის წინ თომას ჰესლერის ორი უზადოდ შესრულებული ჯარიმით შინ „კარლსრუესთან" 0:2 წააგო.

გერმანიის სხვა წარმომადგენელმა, „მიუნხენ 1860"-მა პირველ შეხვედრაში 0:3 წააგო ვენის „რაპიდთან" და დღეს სასწაულს ელის. ბავარიელებს მდგომარეობას ისიც უმძიმებს, რომ მათ ორი ფეხბურთელი, მარკო ვალკერი და ოლაფ ბოდენი დისკვალიფიცირებული ჰყავთ.

— ჩვენი ამოცანაა 90 წუთში სამი გოლი გავიტანოთ. შემდეგ კი, გასამარჯვებლად კიდევ 30 წუთი დაგვემატება — რიხიანად განაცხადა 1860-ის მწვრთნელმა ვერნერ ლორანტმა.

— თუ შეტევას არ დავივიწყებთ და გავრისკავთ, შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგ შანსს უთუოდ გამოვიყენებთ — საპასუხოდ ბრძანა „რაპიდის" თავკაცმა ერნსტ დოკუპილმა, რომელსაც დღეს არ ეყოლება წინა მატჩში გაძევებული პეტერ შიოტელი და სამუელ იპუა.

თასის მფლობელს „შალკეს", მოგეხსენებათ, ამავე შეჯიბრების 1983 წლის გამარჯვებულთან, ბელგიურ „ანდერლეხტთან" აქვს ბრიუსელში საქმე გასარკვევი. ორი კვირის წინ, გელზენკირხენში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს.

— ფრეზე ოცნება და თავის დაცვა არას გვარგებს— განაცხადა „შალკეს" თავდამსხმელმა მარტინ მაქსმა, რომელმაც მუხლის ტრავმა მოიშუშა და დღეს მოედანზე იქნება.

„შალკეს" მაგვარ მდგომარეობაშია ამსტერდამის და შოთა არველაძის „აიაქსიც". მას პირველ თამაშში იტალიურ „უდინეზესთან" აქვს 1:0 მოგებული და დღეს უდინეში ეცდება უპირატესობის შენარჩუნებას.

— თამაშის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, ვითარება მართლაც უკიდურესადაა დაძაბული. დღეს, „იუვენტუსთან" წაგებული 1:4 აღარავის გვახსოვს, ჩვენს გონებაში მხოლოდ „აიაქსია" — თქვა უდინელთა გერმანელმა ფორვარდმა ოლივერ ბირჰოფმა.

# სკალას თუ იხსნის — პარმა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### A ჯგუფი

#### დორტმუნდი — პარმა

„პარმამ" დორტმუნდელებს ორი კვირის წინ 1:0 მოუგო. ხვალ კი იტალიის ვიცე-ჩემპიონი რევანშს მოწყურებულ თასის მფლობელს ხორვატი მარიო სტანიჩის გარეშე შეებრძოლება. სავარაუდოა, რომ პარმელთა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თავდასხმაში ენრიკო კიეზასა და არგენტინელი ერნან კრესპოს წყვილს აამოქმედებს.

„ბორუსიას" იტალიელ მწვრთნელ ნევიო სკალას თავისი ყოფილი გუნდის ძლევა ჰაერივით სჭირდება. გარდა ამ შეჯიბრების, მეოთხედფინალში გასასვლელი ქულების დაგროვებისა, მას იმ კრიზისიდან ამოსვლაც სწადია, რომლის ყველაზე აშკარა მიმანიშნებელი გერმანიის თასზე მესამე დივიზიონის „ტრირთან" დამარცხება იყო. სხვა თუ არაფერი, იგი შეიძლება თანამდებობიდან გაანთავისუფლონ.

#### გალათასარაი — სპარტა

თურქეთის ჩემპიონს ლიგაში ჯერ ქულაც არ აქვს მოპოვებული, თან ხვალინდელ მეტოქესთან ნაწვნევი 0:3-ისთვის შურისძიებაც სწყურია. მოკლედ, თურქებს თავმოყვარეობის საკითხი აქვთ გადასაწყვეტი, მაგრამ მათ რუმინელ ვარსკვლავს გეროგ ჰაჯის ბოლო დროს ხელი აქვს მოცარული, მცველები ჰაქან უნსალი და ვედათ ინსეფი კი დისკვალიფიცირებულნი არიან. რაც შეეხება „სპარტას", იგი სტამბოლში საუკეთესო შემადგენლობით იასპარეზებს.

### B ჯგუფი

#### იუვენტუსი — კოშიცე

„იუვენტუსს" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს, ტრავმირებულნი კი პაოლო მონტერო და ანჯელო დი ლივიო არიან. მოედანზე დასაბრუნებლად მზადაა ტრავმამოშუშებული გოლკიპერი ანჯელო პერუცი.

სლოვაკებს დზურიკი და სპილარი ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

#### ფეიენოორდი — მანჩესტერი

ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონმა გასულ სამშაბათს მწვრთნელი არი ჰაანი გაანთავისუფლა თანამდებობიდან და, როგორც ეტყობა, ხვალამდე ახალი თავკაცის მონახავი არაა. ჯერჯერობით გუნდს მეორე მწვრთნელი გერტ მაიერი და ყოფილი კაპიტანი ჯონ მეტგოდი უწევენ ხელმძღვანელობას. გარდა უმწვრთნელობისა, „ფეიენოორდს" ტრავმირებული კაპიტნის ჰენკ ფრეზერის არყოფნაც გაურთულებს საქმეს.

რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს", მას არათუ დისკვალიფიცირებული, გაფრთხილებულიც კი ერთად ერთი მოთამაშე რაიან გიგზი ჰყავს, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ მაინც ითამაშებს. საეჭვო დენის ირვინის მოედანზე გასვლაა.

### C ჯგუფი

#### ბარსელონა — დინამო

უკრაინელებს ტრავმირებული ცოტა ჰყავთ. სავარაუდოა, რომ მოედანს დაუბრუნდება ოლეგ ლუჟნი. რაც შეეხება „ბარსელონას", მას ჰოლანდიელი გოლკიპერი რუუდ ჰესპი ჰყავს დისკვალიფიცირებული, თუმცა არაა გამორიცხული, რომ კატალონიელთა კარი ტრავმის გამო აგვისტოს მერე გაუჩინარებულმა პორტუგალიელმა ვიტორ ბაიამ დაიცვას.

#### ნიუკასლი — ეინდჰოვენი

ნიუკასლელებს კაპიტანი, რობერტ ლი და ინგლისის ნაკრების წევრი დევიდ ბეტი ჰყავთ დისკვალიფიცირებული. ინგლისელები გამარჯვების შემთხვევაში ცხრილის სათავეში დაიბრუნებენ ადგილს, თუ, რა თქმა უნდა, კიეველები კატალონიაში დამარცხდებიან.

„ეინდჰოვენის" საფიქრალი გარემარბის ბუდევინ ზენდენისა და ბელგიელი თავდამსხმელის ჟილ დე ბილდეს ჯანმრთელობაა. ეს შეხვედრა ბოლო იქნება ჰოლანდიის ჩემპიონის იუგოსლაველი ნახევარმცველის ზელიკო პეტროვიჩისთვის, რომელიც სათამაშოდ იაპონიაში მიემგზავრება.

### D ჯგუფი

#### პორტუ — რუსენბორგი

პორტუგალიელებს, რომლებმაც ჯერჯერობით ყველა თამაში წააგეს ისე, რომ გოლიც არ გაუტანიათ, დისკვალიფიცირებული ჰყავთ ჩიპუ და ფერნანდუ მენდეში. ტრონდჰეიმელებსაც ჰყავთ თამაშაკრძალული ფეხბურთელი, თან წამყვანი. საუბარია მინი იაკობსენზე.

ნორვეგიელები პორტუში უქმეებზე ჩავიდნენ, რათა ბალახს შეაჩვიონ ფეხი. მათ ხომ ყინულოვან სამშობლოში ხელოვნური საფარი აქვთ დაგებული.

#### ოლიმპიაკოსი — რეალი

ბერძნებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ იუგოსლაველი პრედრაგ ჯორჯევიჩი, მადრიდელებს კი უფრო სერიოზული ფიგურა — რობერტო კარლოსი. პირეოსის გუნდს არც მეკარე დიმიტრის ელევტეროპულოსი ეყოლება და მთელ იმედს თავდამსხმელებზე, იუგოსლაველ ილია ივიჩზე და 17 წლის განელ პიტერ ოფოლრიკაეზე დაამყარებს.

### E ჯგუფი

#### პსჟ — ბაიერნი

წინა ტურში მიუნხენლებმა პარიზელებს შეურაცხყოფა მიაყენეს — 5:1. ახლა ისინი საფრანგეთის დედაქალაქს ეწვიენენ, ოღონდ ლოთარ მათეუსისა და თომას შტრუნცის გარეშე. ორივე ფეხბურთელი დაშავებულია. დისკვალიფიცირებული არაა, მაგრამ ერთყვითლიანია მარიო ბასლერი. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ფრთხილი ჯოვანი ტრაპატონი მას არ ათამაშებს.

„პარი სენ ჟერმენს" კი ერთობ შეცვლილი შემადგენლობა ეყოლება. მათ ტრავმირებული ჰყავთ მარკო სიმონე, პატრის ლოკო და ბრუნო ნგოტი.

#### გიოტებორგი — ბეშიქთაში

შვედეთიდან სიახლეა. „გიოტებორგის" ხელმძღვანელთა განცხადებით, მისი 37 წლის მეკარე თომას რაველი აშშ-ის კლუბ „მაიამი ფუშენში" გადავიდა.

„ბეშიქთაში" გადაღლილი და დაშავებულია. ექიმის თქმით, სამკურნალოა ნიგერიელი დანიელ ამოკაში. სტამბოლელთა მწვრთნელი ჯონ ტოშაკი კი ცნობათა თანახმად ფეხბურთელებს „გიოტებორგზე" ფიქრით დაძინებასა და გაღვიძებას სთხოვს.

შვედებს არ ეყოლებათ მაგნუს ერლინგმარკი, თურქებს — ერქანი. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან.

### F ჯგუფი

#### ლევერკუზენი — სპორტინგი

პორტუგალიის ვიცე-ჩემპიონი ხვალ გერმანულ ლევერკუზენის „ბაიერს" მწვრთნელის გარეშე შეებრძოლება. ყველასთვის მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა გუნდის თავკაცი ოტავიო მაჩადო. კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მაჩადოს გადადგომას დაჰყაბულდა, მაგრამ მიზეზზე არაფერი უთქვამს. შესაძლოა მიზეზი პორტუგალიის ეროვნულ ჩემპიონატში იყოს საძებნელი, ვინაიდან, მიუხედავად ჩემპიონთა ლიგაში ადგილის მოპოვებისა, „სპორტინგის" ქომაგები გუნდის თამაშით უკმაყოფილონი იყვნენ, შაბათს „ვარზიმთან" 1:1-ის შემდეგ კი გვარიანად შეუძახეს თავისიანებს.

#### ლიერსი — მონაკო

ბელგიურმა კლუბმა, რომელმაც მონაკოში 1:5 წააგო, კვირას საშინაო ჩემპიონატის მატჩში „ბევერენთან" 2:1 წაიყვანა, მაგრამ 65-ე წუთზე თამაში ნისლის გამო ჩაიშალა. მათ არც დაშავებული ჰყავთ ვინმე და არც გაძევებული.

„მონაკოს" შესაძლოა კრისტოფ პინიოლი დააკლდეს, სამაგიეროდ, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაუბრუნდება. დაშავებული ცხვირის დასაცველად სილვაინ ლეგვინსკი საგანგებო საცავით ითამაშებს.

# ნუ ჩახვალთ მანჩესტერში

## ინგლისი

### XIII ტური

### ნიუკასლი 3:3 ლესტერი

ნიუკასლი: გივენი, პიკოკი, ალბერი, ბერესფორდი, ჰაუი (ჰამილტონი 18), ბეტი, ლი, ბარნსი, ქეცბაია, ტომასონი (რაში 75), უოტსონი

ლესტერი: არპეხედი, კამარკი, პრიორი, იზეტი, ლენონი, პარკერი (სევიჯი 68), გაპი, კლერიჯი (ფენტონი 87), ჰესკი, ელიოტი, მარშალი

1:0 ბარნსი (43), 1:1, 1:2 მარშალი (12, 32), 2:2 ტომასონი (45), 2:3 ელიოტი (54), 3:3 ბერესფორდი (90)

შაბათს თითქმის ხუთი თვე გავიდა, რაც ქეცბაია ინგლისში გადავიდა, მაგრამ შაბათის დარად აქამდე ჯერ არ უთამაშია. „ნიუკასლმა" მატჩი ფრედ დაამთავრა. რომ არა ბერესფორდი, წააგე-



ნიუკასლელ ბერესფორდს მესამე გოლი გააქვს ლესტერის კარში

ბდა კიდეც. ქეცბაიამ კი მატჩის გადარჩენაში ლომის წილი დაიდო. თუ წინა უქმეებზე შოთა არველაძემ „ფეიენოორდის" კარში „აიაქსელთა" მიერ გატანილ ოთხივე გოლში შეიტანა თავისი წვლილი, ამჯერად ქართველის ძლევამოსილებამ ტიტების ქვეყნიდან ნისლიან ალბიონზე გადაინაცვლა — მასპინძლეთა არცერთი გოლი არ გასულა ქეცბაიას ჩაურევლად. თუმცა, ჯობს, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. თამაშის დაწყებისთანავე „ნიუკასლის" ტაქტიკური სახეცვლილება ყველასათვის ნათელი გახდა — ერთი თავდამსხმელის, დანიელი იონ დალ ტომასონის იმედად დარჩენილმა დალგლიშმა ქეცბაია ნახევარდაცვიდან შედარებით წინ წაწია და ფორვარდსა და შუახაზს შორის გაამწესა, ამან კი რა შედეგიც გამოიღო, ყველამ ნათლად იხილა. რაც სეზონი დაიწყო, ჩრდილოინგლისელებს ერთ მატჩში ორ გოლზე მეტი ვერ გაეტანათ, ახლა სამი შეაგდეს. თანაც, მიუხედავად ერთი თავდამსხმელით თამაშისა, მათი შეტევები გაცილებით მობილური და სახიფათო გახდა. მატჩის დასაწყისში უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს, თუმცა, ანგარიში მათ გახსნეს — ქეცბაია ჯიქურ შეიჭრა „ლესტერის" დაცვაში, სტუმრებმა ქართველი წესების დაცვით რომ ვერ შეაჩერეს, წააქციეს, რის გამოც იან მარშალმა გარდა ყვითელი ბარათისა მსაჯს პენალტიც დასტყუა. ბურთი ვეტერანმა ბარნსმა გაასწორა და ზუსტად დაარტყა კიდეც. ამის შემდეგ „ნიუკასლი" თითქოს აირია. ლიგის თასის გამარჯვებულებმა ამით უმალვე იხეირეს — მარშალმა ოცი წუთის ინტერვალით თამაშის დასაწყისში დაშვებული შეცდომა ერთიორად გამოასწორა. „ნიუკასლი" კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდა, რაც კენი დალგლიშის გუნდს მთელი ეს სეზონია თან სდევს. ამის მიზეზი კი შეუთამაშებლობაა.

ტაიმის მიწურულს ქეცბაიას ჩაწოდებული კუთხურით მასპინძლებმა გაათანაბრეს. მინდვრის გარედან გოლის ავტორად, თავდაპირველად ჰამილტონი ჩანდა, მეორე ნახევარში კი გულშემატკივრებს ამცნეს, გოლი ტომასონმა შეაგდოო. ისე, სკანდინაველისთვის ეს ბურთი, ცხადია, ოფიციალურ მატჩებში პირველი გამოდგა, რომელიც მან „ნიუკასლის" შემადგენლობაში შეაგდო, რაც „ჰერენვეენიდან" გადაბარგდა. მეორე ტაიმის დასაწყისი პირველის ანალოგიური გამოდგა — შეგულიანებული მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ სახეირო მომენტის მომლოდინე „ლესტერმა", ბევრი იცადა თუ ცოტა, გოლიც შეაგდო — კლუბის უპირველესმა ბომბარდირმა მეტ ელიოტმა ივაჟკაცა. ჩამორჩენას მასპინძელთა რიგებში კვლავ დისონანსი მოჰყვა, თუმცა დროებით. მერე „ნიუკასლმა" ხელ-ნელა კვლავ ხელთ იგდო უპირატესობა, რასაც, ცხადია, გოლი უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა — შეხვედრის ერთ-ერთი ბოლო შეტევისას მასპინძლებმა გაიბრძოლეს და შეაგდეს კიდეც. ქეცბაია კვლავ მოვლენების ცენტრში იყო. საჯარიმოს მისადგომებთან მყოფმა ერთობ მახვილგონივრული და მეტად ზუსტი გადაცემით „ლესტერის" დაცვა გააოგნა, ბერესფორდს კი, რომ იტყვიან, ფეხზე დაასვა ბურთი. ამ სეზონში ბომბარდირად ქცეულ მცველს კი ბოლო თვეების მანძილზე ერთობ განვითარებულმა საგოლე ალღომ არ უმტყუნა. თითქმის მოპოვებული სამი ქულიდან ორის დაკარგვა ემილ ჰესკიმ ვერ აიტანა და ბელგიელ „მასპინძელ" ფილიპ ალბერს მოსცხო, მსაჯმა კი დანარჩენ 21 ფეხბურთელზე ორიოდ წუთით ადრე შეაწყვეტინა თამაში.

### მანჩესტერი 6:1 შეფილდი

იუნაიტედი: შმაიხელი, გ. ნევილი, პალისტერი, ბერგი (კერტისი 75), ფ. ნევილი, ბათი (მაკლეირი 75), ბექემი, სქოულზი (პობორსკი 55), კოული, შერინგემი, სოლსკიაერი

შეფილდი: პრესმენი (პორიჩი 75), მეჯილტონი, ნიუსომი, უოქერი, უითინგემი, კოლინზი (პირიჩი 75), ნოლანი, პემბრიჯი, რუდი, კარბონე (ნიკოლი 46), დი კანიო (ჰამფრეისი 46)

1:0 შერინგემი (13), 2:0, 3:0 კოული (20, 38), 4:0 სოლსკიაერი (41), 5:0 შერინგემი (63), 5:1 უითინგემი (69), 6:1 სოლსკიაერი (75)

ისე, ჩვენში დარჩეს და მანჩესტერელებს სიბრალულის გრძნობა, ეტყობა, „ოლდ ტრეფორდამდე" მიმავალთ გზაში დაეკარგათ. განა შეიძლება, სტუმარ-მასპინძლობის ურყევ პრინციპს ულალატო და მომხვდურნი ასე დაჩაგრო? წინა კვირას „ბარნსლის" შვიდი გოლი გაატანეს, არც შედარებით ძლიერი „შეფილდ უენსდეი" დაინდეს. ამათ თუ ასე გააგრძელეს, ალბიონზე დაახლოებით იმგვარ უპირატესობას მოიპოვებენ, როგორიც ჩვენთან „დინამოს" აქვს...დროა, „მანჩესტერ იუნაიტედმა" საფეხბურთო ანგარიშებით დაასრულოს მატჩები, თორემ ალექს ფერგიუსონი იპოლიტე ხვიჩიას ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კინოგმირ ფეოლას დაემსგავსება, ყოველი მატჩის წინ ფეხბურთელებს მეტოქის დანდობას რომ სთხოვს... სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, ინგლისის ჩემპიონები ბრყწინვალე ფორმაში არიან. როდემდე გაგრძელდება ეს, ძნელი სათქმელია, თუმცა ამქვეყნად მუდმივი არაფერია. ბუნების კანონის თანახმად, ყოველ აღმართს დაღმართიც ახლავს. ასე რომ, ადრე თუ გვიან „იუნაიტედმა" სვლას უნდა უკლოს. თუ ბოლო წლებს გავითვალისწინებთ, მათი კრიზისი დაახლოებით გაზაფხულის პირას იწყება...თუმცა, არავინ იცის, რა და როგორ იქნება და სანამ „იუნაიტედი" საქებია, მანამდე ვაქოთ. დასაწყისიდან ბოლომდე უპირატესობა მასპინძლების რომ იქნებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარება. რაც შეეხება ფერგიუსონის გადაწყვეტილებას სამი ფორვარდით თამაშის თაობაზე, მიზეზი ვგონებ, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. სამივე თავდამსხმელმა ჩინებულად ითამაშა, გოლები კი მართლაც შესანიშნავი გაიტანეს. როცა ანგარიში 6:1-ია, ცხადია, მატჩიც კარგი სანახავი იქნებოდა, მაგრამ უმთავრესი მოვლენები მაინც შეხვედრის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ დატრიალდა. განადგურებულთა ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის დეივიდ პლიტის გუნდში მოღვაწეობის გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩათვალა და გაანთავისუფლა. ასე რომ, „შეფილდ უენსდეის" 52 წლის თავკაცი კლუბში ორნახევარი წლის მუშაობის შემდეგ დაითხოვეს. ამ სეზონში პლიტი პრემიერლიგაში პირველი გაშვებული მწვრთნელი შეიქნა. გადაყენებული მწვრთნელის პირველი სიტყვები კი უფრო ალსარებას წააგავდა, ყველაფერში დამნაშავე მე ვარო.

### დერბი 3:0 არსენალი

დერბი: პოომი, როუეტი, ჯ. პაუელი, დ. პაუელი, ლაურსენი, კარბონი, კერსლი, სოლისი (კოზლაკი 46), სტარიჯი (ბარტონი 86), ვენჩოპი, ბაიანო (ტრილოპი 86)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი (ვრე 69), ვიეირა, ბოულდი, ადამსი, პეტი, პარლოუ, ანელკა (ბოა მორტე 69), პლატი, რაიტი

1:0, 2:0 ვენჩოპი (46, 65), 3:0 სტარიჯი (82)

მასპინძელთა მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა მატჩამდე განაცხადა, დასანანია, ჩვენი გულშემატკივრები დენის ბერხკამპს რომ ვერ იხილავენო. მიუხედავად ფრენის მოშიში „მფრინავი ჰოლანდიელის" ვერთამაშისა, მასპინძელთა გულშემატკივრებმა მეორე, ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე კოსტა-რიკელის, პაულო ვენჩოპის დაუზარელი და რაც მთავარია, ერთობ სასარგებლო გარჯა იხილეს. ახალგაზრდა ოკეანისგაღმელი მუდამ იქ იყო, სადაც მოვლენები ვითარდებოდა; ამით კი რას იგებდა, ანგარიშიდანაც ჩანს. გარდა იმისა, რომ ლონდონელთა მცველები ერთობ გააწამა და ორი გოლი შეაგდო, უამრავი სახიფათო მომენტიც შექმნა, მისმა მეორე გოლმა კი „არსენალს" საბოლოო ლახვარი ჩასცა. სანამ მსაჯი ჩასტვენდა და დუნიას „მეთოფეთა" განადგურებას ამცნობდა, მანამდე ზუსტად ერთი საათით ადრე რაიტმა პენალტი გააფუჭა — „არსენალის" ყველა დროის რეკორდსმენმა საშინელი ძალით დარტყმული ხარიხას მოარტყა, ასხლეტილის დამატებისას კი ანელკამ ვერ ივარგა.

### ასტონ ვილა 0:2 ჩელსი

ასტონ ვილა: ოუქსი, ჩარლზი, რაიტი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, შიმეცა, ნელსონი (ტეილორი 60), გრეისონი, დრაპერი, იორკი, იოაკიმი (მილოშევიჩი 60)

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (კლარკი 69), ლებეფი, მეიერსი, სინკლერი, ნიკოლსი, ნიუტონი, მორისი (დი მატეო 64), ბაბაიარო, ძოლა (ფლო 80), ჰიუზი

0:1 ჰიუზი (38), 0:2 ფლო (82)

„ჩელსის" დისკვალიფიცირებული ვიალი და უაიზი, ასევე ტრავმირებული პოიეტი და ლე სო აკლდა, მასპინძელთ კი — სტენ კოლიმორი. თუ ამ უკანასკნელის შედეგებს გავითვალისწინებთ, „ასტონ ვილასთვის" იგი დიდი დანაკლისი სულაც არ იყო. ასეა თუ ისე, შედარებით შესუსტებულმა „ჩელსიმ" იძალა და გასვლაზე ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ იმარჯვა. პირველი გოლი კი იუბილარმა, 34 წლის მარკ ჰიუზმა შეაგდო. მანამდე მასპინძელთ შეეძლოთ გატანა, მაგრამ დუაიტ იორკმა პენალტი გააფუჭა. შესვენების შემდეგ ძოლამ მეორედ შეარხია ოუქსის კარის ბადე, მაგრამ მსაჯმა ალამი ააფრიალა, იტალიელის ნაცვლად შესული ნორვეგიელი ფლოს გოლზე კი იგივე აღარ განმეორებულა.

### ბარნსლი 1:1 ბლექბერნი

ბარნსლი: უოტსონი, შერიდანი (იდენი 46), მოუზისი, დე ზიუ, ჰენდრი, შერტლიფი, კრიჟანი (ბერნარდი 73), ხრისტოვი (ლიდელი 55), ბოზანჩიჩი, ბალოქი, რედფერნი

ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი (პედერსენი 27), მაკინლი, კროფტი, დაფი (უილკოქსი 64), ენჩოსი, რიპლი, სატონი, გალაჰერი

0:1 შერვუდი (30), 1:1 ბოზანჩიჩი (79)

„ბარნსლი" მეტოქის ფეხბურთელთ უნდა უმადლოდეს, პირველი ტაიმი ერთზე მეტი ბურთის სხვაობით რომ არ წააგო. მარტო სტუმართა კაპიტანმა შერვუდმა ოთხჯერ ვერ იხეირა, ბლექბერნელთა ძლევამოსილ თავდამსხმელებზე გალაჰერზე და სატონზე რომ აღარაფერი ვთქვათ. დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა „ბარნსლიმ" გაყაიმება. ამ ჩემპიონატში ძირითადში პირველად მოთამაშე ბოზანჩიჩმა იხარა, „ბლექბერნი" კი სტუმრად ისევ უძლეველი დარჩა.

### ბოლტონი 1:1 ლივერპული

ბოლტონი: ბრენეგენი, ფრანდსენი (კარი 77), ტომპსონი, პოლოკი, ბერგსონი, ფილიპსი, ფიში, უითლოუ, ჰოლდსუორთი, ბერდსლი (გუნლაუგსონი 59), ბლეიქი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნსი, კვარმე, ლეონარდსენი, რედნაპი, ბიორნებიუ, მატეო, ინსი, მაკმანამანი, ოუენი (რიდლე 75), ფაულერი

0:1 ფაულერი (1), 1:1 ბლეიქი (84)

მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, „ლივერპული" მხოლოდ ქულას დასჯერდა. 56-ე წამზე ფაულერის გოლით დაწინაურებულ სტუმრებს ცდა არც შემდგომ დაუკლიათ, მაგრამ ჯაფა მუდამ წყალში ეყრებოდათ. 75-ე წუთზე კი თანაგუნდელები გოლის ავტორმა დააღალატა — პერ ფრანდსენთან ზომაზე მეტი მოუვიდა და გააგდეს, დაზარალებული მცველი კი მალევე შეცვალეს. მასპინძელთ გაუადვილდათ კაცნაკლულ მეტოქესთან გამკლავება და მათმა საუკეთესო ბომბარდირმა ნათან ბლეიქმა უმალ იხეირა.

### ტოტენჰემი 0:1 ლიდსი

ტოტენჰემი: უოქერი, ედინბურგი, პაუელსი (ანდერტონი 69), მაბათი (კარი 46), ფოქსი, სქაილზი, სინტონი, კემპბელი, დომინგუში (ივერსენი 46), ჟინოლა, არმსტრონგი

ლიდსი: მარტინი, კელი, რობერტსონი, ჰაალანდი, რადებე, უეზეროლი, უოლესი, ჰოფკინი, კოუველი, მეიბერი, რიბეირო

0:1 უოლესი (20)

ორიოდ კვირის წინ წყალწაღებულ „შეფილდ უენსდეისთან" 3:1 მოგების შემდეგ ლონდონელთა მწვრთნელმა ტრევორ ფრენსისმა გულშემატკივრებს აღმასვლა აღუთქვა, „ტოტენჰემის" პრეზიდენტმა ალან შუგარმა კი განაცხადა, ვგონებ, ჩვენს აღორძინებასაც დაადგა საშველიო. რა საფუძველი ჰქონდა მათ ასეთ ოპტიმისტურ განცხადებებს, ძნელი სათქმელია, ფაქტი კი ერთია — გუნდი, რომელიც ხუთ თამაშში ერთხელ იგებს და თან საშინაო მატჩებში იშვიათად უტევს, პრემიერლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი პირველი კანდიდატია.

### უიმბლდონი 1:2 ქოვენთრი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ჯოუნსი, ბლექველი, ტეტჩერი, ჯ. ჰიუზი, პერი, მ. ჰიუზი, ერლი, ეკოკუ (გეილი 70), კორტი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, უილიამსი, ბრინი, ჰაკერბი, მაკალისტერი, ტელფერი, სოლტვედტი, ჰოლი, დაბლინი

0:1 ჰაკერბი (17), 0:2 დაბლინი (22), 1:2 კორტი (28)

სტუმართა საუკეთესო ფორვარდი დიონ დაბლინი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნდა და „ქოვენთრის" სტუმრად პირველ მოგებასაც შეუწყო ხელი. სწორედ მისმა სოლო გოლმა ჩაუყარა საფუძველი „უიმბლდონის" წარმატებული მატჩების სერიის შეწყვეტას.

## პირველი დივიზიონი

### ოქსფორდი 0:0 სიტი

სიტი: რაიტი, ვეგენი, ვიკენსი, უაითლი, საიმონსი, ედჯილი, ბრენენი, ჰორლოკი, ვან ბლერკი, გრინეკრი (მორლი 62), დიკოვი

მიუხედავად ქინქლაძის არყოფნისა, „სიტიმ" ძლიერად ითამაშა, მაგრამ არ გაუმართლა, შეხვედრა რომ ვერ მოიგო. ორივე ტაიმში უპირატესობა ძირითადად მანჩესტერელთა მხარეს იყო, მაგრამ სტუმრები დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. მატჩის შემდგომ „სიტის" მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა განაცხადა, იმედია, ქინქლაძე მალე გამოჯანმრთელდება, ნათელია, „სიტის" იგი ძლიერ სჭირდებაო.

**ლაშა გოდუაძე**

მე-15 ტურის სხვა მატჩები: ბრედფორდი — ვესტ ბრომვიჩი 0:0; ჩარლტონი — იფსვიჩი 3:0; ჰადერსფილდი — სტოკ სიტი 3:1; ნორვიჩი — ბერი 2:2; ნოტინგემი — ქრიუ 3:1; პორტ ვეილი — რედინგი 0:0; პორტსმუთი — სვინდონი 0:1; ქუინზ პარკი — ბირმინგემი 1:1; შეფილდი — ტრანმერი 2:1; სტოკპორტი — სანდერლენდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 14 | 9 | 3 | 2 | 24:11 | 30 |
| სვინდონი | 15 | 8 | 4 | 3 | 19:17 | 28 |
| ჩარლტონი | 14 | 7 | 4 | 3 | 30:18 | 25 |
| შეფილდი | 12 | 7 | 4 | 1 | 20:10 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:12 | 25 |
| მიდლსბრო | 12 | 7 | 3 | 2 | 23:12 | 24 |
| ბრედფორდი | 14 | 6 | 6 | 2 | 16:14 | 24 |
| ქუინზ პარკი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:20 | 22 |
| ბირმინგემი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:12 | 21 |
| სანდერლენდი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:18 | 21 |
| სტოკ სიტი | 14 | 6 | 3 | 5 | 16:17 | 21 |
| სტოკპორტი | 15 | 5 | 5 | 5 | 23:22 | 20 |
| პორტ ვეილი | 15 | 5 | 4 | 6 | 19:18 | 19 |
| ვულვზი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:16 | 19 |
| ბერი | 15 | 3 | 7 | 5 | 17:23 | 16 |
| ნორვიჩი | 14 | 4 | 4 | 6 | 11:21 | 16 |
| ქრიუ | 15 | 4 | 3 | 8 | 18:23 | 15 |
| ოქსფორდი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:23 | 15 |
| რედინგი | 15 | 3 | 6 | 6 | 16:24 | 15 |
| სიტი | 14 | 3 | 5 | 6 | 17:16 | 14 |
| იფსვიჩი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:16 | 14 |
| ტრანმერი | 14 | 3 | 3 | 8 | 20:22 | 12 |
| პორტსმუთი | 14 | 2 | 4 | 8 | 16:23 | 10 |
| ჰადერსფილდი | 15 | 1 | 5 | 9 | 11:29 | 8 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დენის ბერხკამპი (არსენალი) | 10 |
| კრის სატონი (ბლექბერნი) | 10 |
| იან რაიტი (არსენალი) | 9 |
| ფრანჩესკო ბაიანო (დერბი) | 8 |
| ჯონ ჰართსონი (ვესტ ჰემი) | 7 |
| ენდი კოული (მანჩესტერი) | 7 |
| ბენიტო კარბონე (შეფილდი) | 7 |

## თურქეთი

მე-11 ტური. გაზიანთეფი — ქაისერი 3:2; დარდანელი — ვანსფორი 2:0; ანთალია — ბურსა 1:4; ფენერბაჰჩე — ქოჯაელი 2:0; ტრაბზონი — ალთაი 3:0; შექერსფორი — ქარაბუქი 1:0; სამსუნი — გალათასარაი 0:2; ბეშიქთაში — ანკარაგიუჯუ 1:0; გენჩლერბირლიგი — ისთანბული 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 11 | 8 | 2 | 1 | 20:6 | 26 |
| ბეშიქთაში | 11 | 7 | 3 | 1 | 19:7 | 24 |
| ტრაბზონი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:14 | 22 |
| გალათასარაი | 11 | 6 | 2 | 3 | 24:13 | 20 |
| ბურსა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:11 | 19 |
| ისთანბული | 11 | 5 | 3 | 3 | 24:16 | 18 |
| სამსუნი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:14 | 17 |
| დარდანელი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:12 | 17 |
| ქაისერი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | 17 |
| ქარაბუქი | 11 | 5 | 1 | 5 | 12:15 | 16 |
| გაზიანთეფი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ქოჯაელი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:15 | 13 |
| გენჩლერბირლ. | 11 | 3 | 4 | 4 | 10:11 | 13 |
| ანკარაგიუჯუ | 11 | 2 | 4 | 5 | 7:13 | 10 |
| ანთალია | 11 | 2 | 3 | 6 | 14:24 | 9 |
| შექერსფორი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:23 | 9 |
| ალთაი | 11 | 2 | 2 | 7 | 7:20 | 8 |
| ვანსფორი | 11 | 0 | 2 | 9 | 11:30 | 2 |

## საბერძნეთი

მე-8 ტური. ოლიმპიაკოსი — კალამატა 3:0; პაოკი — ირაკლისი 2:2; ქსანტი — იონიკოსი 4:2; ოფი — პანათინაიკოსი 0:3; აპოლონი — ეთნიკოსი 1:0; პანახაიკი — ვერია 2:1; პანილიაკოსი — აეკი 2:4; პანიონისი — ათინაიკოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იონიკოსი | 8 | 7 | 0 | 1 | 19:4 | 21 |
| პანათინაიკოსი | 8 | 7 | 0 | 1 | 16:3 | 21 |
| აეკი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:7 | 19 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 0 | 2 | 21:8 | 18 |
| აპოლონი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:5 | 16 |
| ქსანტი | 8 | 4 | 2 | 2 | 18:15 | 14 |
| ირაკლისი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 14 |
| პაოკი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:9 | 13 |
| პანიონისი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:11 | 10 |
| პანილიაკოსი | 8 | 3 | 0 | 5 | 12:16 | 9 |
| პანახაიკი | 8 | 3 | 0 | 5 | 7:14 | 9 |
| პრუდეფტიკი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:14 | 8 |
| ოფი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:19 | 8 |
| ვერია | 8 | 2 | 1 | 5 | 10:15 | 7 |
| ეთნიკოსი | 8 | 2 | 0 | 6 | 4:10 | 6 |
| კავალა | 7 | 1 | 1 | 5 | 8:16 | 4 |
| ათინაიკოსი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:15 | 4 |
| კალამატა | 8 | 0 | 2 | 6 | 2:13 | 2 |

## პოლონეთი

მე-14 ტური. ვიძევი — რუხი 1:0; პოლონია — რაკოვი 3:0; გროცლინი — ოდრა 2:0; პოგონი — ვისლა 2:2; სტომილი — გურნიკი 1:1; პეტროხემია — ზაგლებიე 2:0; ამიცა — ლეხი 3:1; გკს — ოსტროვიეცი 1:0; ლეგია — ლკს 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 14 | 9 | 2 | 3 | 27:10 | 29 |
| ლკს | 14 | 8 | 4 | 2 | 21:9 | 28 |
| ლეგია | 14 | 7 | 6 | 1 | 26:13 | 27 |
| პოლონია | 14 | 6 | 4 | 4 | 19:13 | 22 |
| ოდრა | 14 | 7 | 1 | 6 | 19:20 | 22 |
| რუხი | 14 | 5 | 6 | 3 | 21:14 | 21 |
| ამიცა | 14 | 6 | 2 | 6 | 17:13 | 20 |
| ვისლა | 14 | 5 | 4 | 5 | 13:18 | 19 |
| გკს | 14 | 4 | 6 | 4 | 17:13 | 18 |
| ლეხი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:17 | 18 |
| გროცლინი | 14 | 5 | 3 | 6 | 11:13 | 18 |
| პოგონი | 14 | 4 | 6 | 4 | 17:20 | 18 |
| სტომილი | 14 | 5 | 3 | 6 | 16:20 | 18 |
| პეტროხემია | 14 | 5 | 3 | 6 | 13:21 | 18 |
| ზაგლებიე | 14 | 5 | 2 | 7 | 18:21 | 17 |
| გურნიკი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:23 | 17 |
| ოსტროვიეცი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:19 | 9 |
| რაკოვი | 14 | 1 | 3 | 10 | 9:30 | 6 |

## დანია

მე-15 ტური. ოლბორგი — ლუნგბიუ 5:0, ფრემადი — იკასტი 5:3, ბრონდბიუ — აბ 2:1, კოპენჰაგენი — ოდენსე 0:2, ჰერფოლგე — ვეილე 3:1, სილკებორგი — ორჰუსი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 15 | 10 | 1 | 4 | 39:20 | 31 |
| სილკებორგი | 15 | 8 | 6 | 1 | 24:13 | 30 |
| კოპენჰაგენი | 15 | 8 | 5 | 2 | 32:19 | 29 |
| ვეილე | 15 | 9 | 0 | 6 | 26:22 | 27 |
| აბ | 15 | 6 | 6 | 3 | 28:19 | 24 |
| ოლბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 27:23 | 22 |
| ორჰუსი | 15 | 6 | 2 | 7 | 24:23 | 20 |
| ლუნგბიუ | 15 | 5 | 4 | 6 | 25:36 | 19 |
| ფრემადი | 15 | 4 | 2 | 9 | 26:31 | 14 |
| ჰერფოლგე | 15 | 4 | 2 | 9 | 21:35 | 14 |
| იკასტი | 15 | 4 | 2 | 9 | 26:42 | 14 |
| ოდენსე | 15 | 1 | 4 | 10 | 14:29 | 7 |

## იტალია

# პლუს-მინუს ბრაზილიელები

VII ტური

### ლეჩე 2:0 ბრეშია

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, ვიალი, კიპრიენი, როსინი, მ. როსი, მარტინესი, პიანგარელი, კასალე, დიკიო (გოვედარიცა 77), პალმიერი (კანტიჩიო 90)
ბრეშია: ზუნიკო, ა. ფილიპინი (პირლო 68), ადანი, ბინცი, საეინო (ბანინი 79), კოზმინსკი, დე პაოლა, დონი, ე. ფილიპინი (დიანა 68), ნერი, ჰუბნერი
1:0 დიკიო (47), 2:0 კასალე (81)
გაფრთხილება: მარტინესი, დიკიო, ნერი, პირლო

### ემპოლი 2:3 ბარი

ემპოლი: კოჩიჩი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, მარტინო (ფლორიანჩიჩი 49), პანე (ბიზოლი 88), ფიკინი, მარტუშელო (ბეტელა 76), კაპელინი, კ. ესპოზიტო
ბარი: მანჩინი, გარსია, სალა, დე როსა, მანიგეტი (რიპა 60), ჯორჯეტი, ვოლპი, ინგესონი, ბრეშანი (დე ასკენტისი 80), მასინგა, ვენტოლა (გერერო 52)
0:1 ინგესონი (23პ), 0:2, 0:3 მასინგა (47, 72), 1:3 ფლორიანჩიჩი (82), 2:3 კაპელინი (90)
გაფრთხილება: კოჩიჩი, დე როსა, ჯორჯეტი, ვოლპი, ინგესონი

### იუვენტუსი 4:1 უდინეზე

იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, ფერარა, ჯულიანო, პესოტო (პეკია 62), კონტე, დეშამპი, ზიდანი, ტაკინარდი, ინძაგი (ამორუზო 76), დელ პიერო
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ბაკინი, სტატუტო, ჯანიკედა, კაპიოლი (დიგნაციო 80), ლოკატელი (ემამი 84), ბირჰოფი, ამოროზო (პოჯი 66)
0:1 ლოკატელი (14), 1:1 კონტე (36), 2:1 ინძაგი (68), 3:1 დელ პიერო (72პ), 4:1 ამორუზო (89)

### პიაჩენცა 0:0 ფიორენტინა

პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვენი, საკეტი, ტრამეცანი, ბუზო (ვალტოლინა 46), ბორდინი, მაცოლა (პიოვანელი 78), შიენძა, დიონიჯი, რასტელი (ვალოტი 89)
ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, პადალინო, მირი, პიაჩენტინი (რობიატი 57), კოისი, შვარცი, ბეტარინი, რუი კოშტა, ბატისტუტა, ოლივეირა (მორფეო 74)
გაფრთხილება: ვერხოვენი, პიაჩენტინი, კოისი, შვარცი, ბეტარინი

### ატალანტა 1:3 ვიჩენცა

ატალანტა: ფონტანა, ენგლარო (ლუკარელი 68), კარერა, სოტილი, ზენონი, გალო, ბონაჩინა, დუნდიერსკი, მირკოვიჩი, სგრო, კაჩა
ვიჩენცა: ბრივიო, ბელოტი, კანალსი (მენდესი 46), დიჩარა, კოკო, სკენარდი (ბარონიო 75), დი კარლო, ვივიანი, ამბროზინი, ამბროზეტი (დი ნაპოლი 81), ლუიზო
1:0 სგრო (27), 1:1, 1:2 ამბროზეტი (43, 65), 1:3 ენგლარო (67 ს.კ.)
გაფრთხილება: კარერა, გალო, ლუკარელი, კანალსი, დიჩარა, სკენარდი, ამბროზინი, დი ნაპოლი
გაძევება: ბონაჩინა (46)

### ინტერი 1:0 პარმა

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, სარტორი, გალანტე, ვესტი, მორიერო (სიმეონე 88), ვინტერი, ზე ელიასი, კუპ. ჯორკაეფი, რონალდო
პარმა: ბუფონი, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბენარივო, ტრიპა (ორლანდინი 65), დ. ბაჯო, სენსინი, ლომკვისტი (ქსტრადა 46), კიეზა, კრესპო (მანიერო 68)
1:0 რონალდო (15)

### სამპდორია 0:3 მილანი

სამპდორია: ფერონი (ამბროზიო 20), ჰუგო, მანინი, მიჰაილოვიჩი, პეზარეზი, ვერონი, ბოლოსიანი, ლაილე, მორალესი (ვერგასოლა 71), მონტელა (ტოვალიერი 71)
მილანი: ტაიბი, კარდონე, მალდინი, კრუზი, ციგე, ბა (დაინო 94), ალბერტინი, დესაი, ლეონარდო (მაინი 76), ვეა, კლუვერტი (ანდერსონი 60)
0:1, 0:2 ვეა (74, 80), 0:3 ციგე (86)
გაფრთხილება: კრუზი, ციგე
გაძევება: მიხაილოვიჩი (67), პეზარეზი (92)

### ბოლონია 5:1 ნაპოლი

ბოლონია: სტერკელე, კარნაშალი, ტორიზი, პაგანინი, მანგონე, კრისტალინი, მაროკი (ჯენტილინი 86), მაგონი (ფონტოლანი 46), ნერვო, ანდერსონი, რ. ბაჯო
ნაპოლი: ტალიალატელა (დი ფუსკო 69), მ. კონტე (პანარელი 72), ზამბონი, აიალა, სერჯო, ტურინი, როსიტო, ჯანინი (ლონგო 72), გორეტი, ბელუჩი, კალდერონი
0:1 გორეტი (13), 1:1 ბაჯო (48), 2:1 ანდერსონი (57), 3:1 ბაჯო (91), 4:1 ანდერსონი (92), 5:1 ბაჯო (96 პ)
87-ე წუთზე ბელუჩიმ ვერ გაიტანა პენალტი
გაფრთხილება: კარნაშალი, მანგონე, მაგონი, ფონტოლანი, გორეტი, ბელუჩი
გაძევება: ზამბონი (94)

### რომა 1:3 ლაციო

რომა: კონსელი, კაფუ, გომესი (პაულო სერჯიო 81), სერბიდელი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (ვაგნერი 65), გაუტიერი (დელვეკიო 57), ბალბო, ტოტი
ლაციო: მარკეჯანი, პაკარო, მესტა, ლოპესი, ფაბალი, ფუზერი, ალმეიდა (ნეგრო 22), იუგოვიჩი (ვენტურინი 84), მედვედი, კაზირაგი, მანჩინი (მარკოლინი 73)

— ვგონებ ბოლოს ჰეთ-თრიქი რომ შევასრულე მართვის მოწმობაც არ მქონდა აღებული. გულწრფელად გეუბნებით, აღარც კი მახსოვს როდის იყო ეს. — უთხრა რობერტო ბაჯომ გარშემორტყმულ ჟურნალისტებს.

ბაჯოს არ ახსოვდა ის, რაც ნებისმიერ ცნობარშია შეტანილი — მან ბოლო ჰეთ-თრიქი 1993 წლის 31 ოქტომბერს შეასრულა. მაშინ რობერტო „იუვენტუსში“ თამაშობდა, ხოლო გუნდი, რომლის კარიც სამჯერ დასცა, გახლდათ „ჯენოა“. ის შეხვედრა „ბებერმა ქალბატონმა“ 4:0 მოიგო. დააკვირდით თარიღს? 1993 წლის 31 ოქტომბერი. კვირას, როდესაც უკვე ბოლონიელმა კიკინაგაკრეჭილმა ბაჯომ „ნაპოლის“ გაუტანა სამი გოლი, 1997 წლის 2 ნოემბერი გახლდათ. გამოდის, რომ ბოლო ათწლეულის ერთ-



რობერტო ბაჯო

ერთმა უნიჭიერესმა და ფრიად უცნაური ბედის მქონე ფეხბურთელმა ზუსტად ოთხი უჰეთ-თრიქო წელიწადი გაატარა.

ტურის გუშინდელ, მოკლე მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ „ბოლონიამ“ პირველი ტაიმი 0:1 წააგო. სურათი მეორე ნახევარში შეიცვალა. ბაჯოსთან ერთად „სკუადრა აძურას“ ომებგამოვლილმა რობერტო ჯანინიმ ყოფილი თანამებრძოლი საჯარიმო მოედანზე წააქცია. ბაჯომ პენალტი გაიტანა და აქედან დაიწყო. მეორე შვედმა კენეტ ანდერსონმა შეაგდო. ამის შემდეგ, თამაშის ბოლოს იყო ერთი ეპიზოდი, როდესაც „დალარას“ სტადიონი გაისუსა: „ნაპოლიმ“ პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წამი და ბოლონიელმა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს — ბურთი მიზანს აცდა. მერე კი, სანამ არბიტრი საფინალოს დასტვენდა ნეაპოლელთა კარში კიდევ სამი გოლი გავიდა, ორი ისევ ბაჯოს და ერთიც ისევ ანდერსონის ფეხით.

მაშ ასე, დასრულდა რობერტო ბაჯოს მილანური კარიერა და გულშემატკივარმა საჩუქრად ჰეთ-თრიქი მიიღო. როგორც ჩანს, „მილანი“ ის გუნდი გახლდათ, სადაც 1993 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თავს შებოჭილად გრძნობდა. ბაჯოთი თუ მის გარეშე თავს შებოჭილად, ბოლო დროს თავად „მილანიც“ გრძნობდა, მაგრამ... ნუთუ კრიზისი დასრულდა? ყოველ შემთხვევაში ფაბიო კაპელოს გუნდმა კვირას გენუაში სწორედ ეს განაცხადა. „სამპდორიასთან“ სტუმრად 3:0-ის მოგება იოლი საქმე სულაც არ გახლავთ. მართალია მილანელებმა სამივე გოლი მას მერე გაიტანეს, რაც 68-ე წუთზე არბიტრმა მასპინძლებს სინიშა მიჰაილოვიჩი გაუგდო და უმცირესობაში დატოვა, მაგრამ „სამპდორიას“, თუნდაც კაცნაკლულს, ბევრი სხვა გუნდი ამდენს მაინც ვერ გაუბედავდა.

და აი, ამ ალმავლობის დასაწყისში „მილანის“ ხელმძღვანელებმა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციისგან ფაქსი მიიღეს. ფაქსი იტყობინებოდა, რომ მილანელთა ორი ბრაზილიელი მოთამაშე ლეონარდო და ანდრე კრუზი უელსთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ნაკრებში არიან გამოძახებულნი. გაირკვა, რომ იმავე მატჩში მონაწილეობის მისაღებად ეროვნული გუნდის ხელმძღვანელები არ იწვევენ მილანის მეორე გუნდის, „ინტერის“ ფეხბურთელებს რონალდოსა და ზე ელიასს. ამან „მილანის“ ბანაკში ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა:

— მე ალბათ მივწერ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას და მისი პრეზიდენტის ტეშეირას პასუხს დაველოდები. ძალიან მაინტერესებს რატომ უნდა აიყარონ ჩვენი ფეხბურთელები 25 ათასი კილომეტრიანი გზის გასავლელად, „ინტერის“ მოთამაშეები კი არა. სხვათა შორის ლეონარდოს ვკითხე, როგორც ნაკრების კაპიტანმა აუ?ხსნეხი რა ხდება-მეთქი, მან კი არ ვიციო, მიპასუხა. მაშ, თუ კაპიტანმა არ იცის, იქნებ ხელმძღვანელებმა გაგვაგებინონ რაშია საქმე.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიისა და უელსის ეროვნული გუნდების ამხანაგური თამაში 11 ნოემბერსაა დანიშნული, 9 ნოემბერს კი იტალიაში მორიგი ტურია, რომელშიც წესით სწორედ „მილანი“ და „ინტერი“ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. წესით იმიტომ, რომ ვინაიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ფლეი-ოფების გამო იტალიის ჩემპიონატის ტურებმა ერთი კვირით ჩაინაცვლეს. 16 ნოემბრის თამაშები კი სულაც 17 მაისისთვის გადაიდო, მილანური დერბი 23 ნოემბერს გაიმართება და მასში ალბათ როგორც „მილანის“ ისე „ინტერის“ ბრაზილიელები შეძლებენ მონაწილეობის მიღებას.

დავუბრუნდეთ გასულ უქმეებს. ჩემპიონმა, „იუვენტუსმა“ „უდინეზეს“ მოუგო 4:1. პირველი გოლი „უდინეზემ“ გაიტანა, შემდეგ მასპინძლებმა გაათანაბრეს და სხვა გოლებიც მიაყოლეს, მაგრამ წესითა და რიგით 1:1-ის შემდეგ ტაბლოზე 1:2 უნდა ანთებულიყო. საქმე ისაა, რომ 50-ე წუთზე უდინეს გუნდში მოთამაშე გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ვერ შეინიშნა ბურთმა რომ კარის ხაზი გადაკვეთა და არ ჩათვალა. შორიდან ამის დანახვა მართლაც ძნელი იყო, რადგან „იუვენტუსის“ გასრიალებულმა მცველმა ჩირო ფერარამ ბურთს ბოლო წამს წაჰკრა ფეხი და უკუაგდო. ახლა „უდინეზეს“ ხელმძღვანელობა შედეგის გასაჩივრებას აპირებს.

— წესებში ნათლად წერია, თუ მსაჯი შეცდომას აღიარებს, თამაში თავიდან უნდა ჩატარდეს. მე ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელთა სამართლიანობისა მწამს. მაგალითად, გერმანიაში სადაო სიტუაციებისას ვიდეოჩანაწერი გამოიყენება, ჩვენთან კი ასეთი რამ მიღებული არაა. — თქვა უდინეზეს პრეზიდენტმა ჯამპაოლო პოცომ.

ოლივერ ბირჰოფი: — აშკარად გოლი იყო, ოღონდ თანამსაჯმა ვერ შენიშნა.

ფერარა დიპლომატიურად მსჯელობდა: — ვიდეოჩანაწერი ჯერ არ მინახავს და ვერაფერს გეტყვით. იმ წუთს მე მხოლოდ ბურთის გარეთ გამოგდებაზე ვფიქრობდი. მსაჯისთვისაც ძნელი იყო რაიმეს შემჩნევა, რადგან იდეალურ ადგილზე არ იმყოფებოდა. ბირჰოფის მდგომარეობაც კარგად მესმის, რადგან ის ჩვენთვისაც ნაცნობია. ჩვენ ხომ იგივე შეგვემთხვა „ფოჯასთან“, „ჯენოასთან“ და „ლაციოსთან“. მოკლედ თუ ამ ტიპის შემთხვევებზე ვილაპარაკებთ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ოთხიდან სამჯერ იღბალმა და მსაჯმა ჩვენი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს.

ასეა თუ ისე, „უდინეზეს“ აპელაციას სავარაუდოდ არანაირი შედეგი არ მოჰყვება, ხოლო რაც შეეხება გერმანიაში მიღებულ ზემოთნახსენებ წესს, ფიფა მისი წინააღმდეგია.

**ბაჩუნა ძიდია**



ზიდანი სტუმართა კარს უტევს



# ხანდახან ასეც ხდება

„რეალ“ — „ბარსელონას“ [illegible] პრინციპული მატჩის ერთ-ერთი [illegible] რესო მომენტი სხვა ბევრ მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად ისიც იყო, შეძლებდა თუ არა ამ ფოტოზე გამოსახული მადრიდელთა მეკარე სანტიაგო კანისარესი ესპანური ფეხბურთის ისტორიაში კარის ყველაზე დიდხანს უგოლოდ შენახვას. წინა რეკორდი — 709 წუთი „რეალში“ კანისარესის ერთ-ერთ წინამორბედ პაკო ბუიოს ეკუთვნოდა. ამ მიღწევამდე სამეფო გუნდის მეკარეს სულ რაღაც ხუთი წუთის გაძლება სჭირდებოდა, მაგრამ „ბარსელონას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რივალდომ მას ისტორიაში შესვლა არ აცალა და მეოთხე წუთზე შეაგდო, რითაც რეკორდი ხელუხლებელი დატოვა.

მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა იმდენი ქნეს, სამართალი აღადგინეს და რეკორდის ახალ მფლობელად სანტიაგო კანისარესი შერაცხეს. რამდენიმე ერთობ პოპულარული გაზეთის განცხადებით, „რეალის“ ამჟამინდელ მეკარეს კარი მშრალად 709 წუთი და 33 წამი შეუნახია, ხოლო თუ პირველ ტურში „ატლეტიკოსთან“ გაშვებული გოლების შემდეგ გასულ დროს კარგად დავთვლით, სულაც 710 წუთი გამოვა, რაც, ცხადია, რეკორდის ტოლფასია. პრესას შაბათის მატჩის არბიტრი ხუან ასტანეგიც დაემოწმა — რივალდოს გოლი სწორედ მაშინ გავიდა ჩემი წამზომი 4 წუთსა და 53 წამს რომ უჩვენებდაო.

მოკლედ, თამაშის დღეს კანისარესი ლამის გააგიჟეს, მეორე დღეს კი რეკორდსმენობა ამცნეს.

ხანდახან ასეც ხდება.

# ვაის გავეყარე, უის შევეყარე

დღეს ბირმინგემში უეფას თასის განმეორებით მეთექვსმეტედფინალურ მატჩში „ასტონ ვილა“ ბილბაოს „ატლეტიკს“ მასპინძლობს. პირველი შეხვედრა ბასკეთში ფრედ 0:0 დასრულდა, ასე რომ, შემდეგ წრეში გასვლის უკეთესი შანსი ინგლისელებს აქვთ, თუმცა „ასტონ ვილაში“ ისეთი განხეთქილებაა, ადვილი შესაძლებელია, ესპანელებმა მასპინძლებს იოლად აჯობონ. „ჩელსისთან“ 0:2 დამარცხებამდე კლუბის კაპიტანმა, ცენრალურმა მცველმა გარეთ საუთგეიტმა გუნდის სტრატეგია ერთობ გააკრიტიკა, ხოლო შექმნილ სიტუაციას დამლუპველი უწოდა. მან განაცხადა, მარტში, ახალი კონტრაქტი რომ გავაფორმე, გუნდის აღორძინების იმედი მქონდა, მაგრამ სულ უკან-უკან მივექანებითო. ფეხბურთელის კრიტიკა „ასტონ ვილას“ მწვრთნელმა ბრაიან ლიტლმა საკუთარ თავზე მიიღო და საპასუხოდ საუთგეიტს ნერვების მოთოკვა ურჩია. „თუ იგი ამას კონკრეტულად კლუბზე ამბობს, მაშინ ძლიერ ცდება, ხოლო თუ კრიტიკაში მთლიანად გუნდს, ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს გულისხმობს, მაშინ ძლიერ სცოდავს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ კლუბის სასიკეთოდ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს, მოთმინება გვმართებს. მალე ყველაფერი რიგზე იქნება.“

ასეა თუ ისე, კლუბში სიტუაცია მთლად დალაგებული ვერაა. ის კი არა, თითქოს საუთგეიტი არ ეყოფოდაო, ახლა დუაიტ იორკმაც წამოჰყო თავი — უქმად მყოფ სტენ კოლიმორს ჩემზე მეტს რატომ უხდითო.



საუთგეიტი დარჩენას წასვლა მირჩობდა

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## სამხრეთ ამერიკა

### ჩილე

გუშინ ჩილელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბოლივიელებთან სათამაშო შემადგენლობა დაასახელეს, მაგრამ მანამდე არანაკლებ საჭირბოროტო პრობლემები გადაჭრეს — ქვეყნის ფეხბურთელთა გახმაურებულმა გაფიცვამ, რომელიც ჩილელთა საბედნიეროდ პარასკევს შეწყდა, ბოლო 16 წლის მანძილზე ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრა ეჭვქვეშ დააყენა, რადგან გაფიცულები ქვეყნის პირველ გუნდში თამაშსაც უარობდნენ. ფეხბურთელთა პროტესტის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ „დეპორტივო არიკას“ პრეზიდენტმა ივან პერდესმა მოთამაშეები დააჯარიმა. ფეხბურთელებს თურმე კარგა ხანია თავიანთი შრომის საზღაური არ მიუღიათ და როცა გაბედეს და უკმაყოფილების ნიშნად თამაშზე უარი განაცხადეს, პრეზიდენტმა ისინი ამგვარად დასაჯა. ჩაგრულ კოლეგებს სხვა კლუბის ფეხბურთელებიც ამოუდგნენ მხარში და იმდენი ქნეს, საქმე მთავრობაში გაარჩიეს. ჩილეს პროფესიული ფეხბურთის ეროვნული ასოციაციის სხდომაზე ფეხბურთის მამებმა კარგა ხნის სჯა-ბაასის შემდეგ „დეპორტივო არიკას“ მოთამაშეთა მოთხოვნები დააკმაყოფილეს. პრეზიდენტი აიძულეს, მათთვის ვალი გაესტუმრებინა, რითაც გაფიცვის შეწყვეტასაც შეუწყვეს ხელი. მოთამაშეთა კავშირის პრეზიდენტმა კარლოს რამოსმა კი იმავე სხდომაზე განაცხადა, სამართლიანად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის ღირსი არ არის, ისეთი ახლართული და არაობიექტური ჩემპიონატი გვაქვსო. თუ გაფიცვა არ შეწყდებოდა, მაშინ გუნდის მწვრთნელი ნელსონ აკოსტა იძულებული იქნებოდა, ბოლივიასთან ახალგაზრდული შემადგენლობა გაეყვანა, რაც არცთუ სასურველი იყო. მოკლედ, გაფიცვა შეწყდა, ნაკრებიც ღირსეული მოთამაშეებით დაკომპლექტდა. მათ შორისაა ყველაზე სახელგანთქმული ჩილელი ფეხბურთელი ივან სამორანო. „ინტერის“ ფორვარდმა შესარჩევ ტურნირში 12 გოლის გატანა მოასწრო, მაგრამ ტრავმის გამო ნაკრების ბოლო სამი შეხვედრა გამოტოვა, ახლა კი იგი კვლავ გუნდშია. აკოსტამ განაცხადა, მილანელებს ვთხოვ, სამორანო ბოლივიასთან თამაშამდე ხუთი დღით ადრე გამოუშვან, მისთვის ასე აჯობებსო.

რაც შეეხება ნაკრებს, იგი ასე გამოიყურება: მეკარეები — ნელსონ ტაპია (უნივერსიდად კატოლიკა), მარსელო რამირესი (კოლო კოლო); მცველები — ფრანსისკო როხასი, პედრო რეიესი (კოლო კოლო), ხორხე გომესი (ტემუკო), ხავიერ მარგასი (უნივერსიდად კატოლიკა), კრისტიან კასტონედა, რონალდ ფუენტესი, რიკარდო როხასი, მიგელ პონსე (უნივერსიდად დე ჩილე), ვილსონ კონტრერასი (აჩიპატო); ნახევარმცველები — მარსელო ვეგა (უონდერერსი), ესტებან ვალენსია, კლარენს აკუნია, ლუის მუსრი (უნივერსიდად დე ჩილე), ხოსე ლუის სიერა (კოლო კოლო), ფერნანდო კორნეხო (კობრელოა); თავდამსხმელები — ივან სამორანო (ინტერი), მარსელო სალასი (რივერ პლეიტი), კლაუდიო ნესა (ლეონი), ხუან კარენო (კონსეპსიონი), როდრიგო ბარერა (უნივერსიდად დე ჩილე).

**უნგრეთში, მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები რვა წევრით გაემგზავრა. ექვს ქართველს ბოლო მომენტში პირველობაზე წასვლის პერსპექტივის გარეშე დარჩენილი ორი ცხინვალელი ოსი შეემატა. ჩემპიონატამდე არავინ მალავდა, რომ საქართველოს ნაკრებიდან მედლის მოგების ყველაზე მეტი შანსი კობა გოგოლაძეს ჰქონდა. თუმცა კი ყველა გაუმხელელი იმედით ელოდა სასწაულს — გიორგი კანდელაკის ნიჭის აფეთქებას. ჭკუადამჯდარ, ლოგიკურად მოაზროვნე ხალხს კი ნაკლებად სჯეროდა კანდელაკის სასწაულმოქმედების და უფრო ნაღდსა და რეალურს — გოგოლაძის მედალს ელოდა.**

# თითმოტეხილს რაღა მექნა...

ახლა, როცა ჩემპიონატი დასრულდა და კანდელაკი მოულოდნელი ოქროს მედლით დაბრუნდა ბუდაპეშტიდან, გოგოლაძე დროებით მისი დიდების ჩრდილში მოექცა, თუმცა, ვინც იცის, რის ფასად დაუჯდა კობას ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მოპოვება, ის უყოყმანოდ მის გამარჯვებას სპორტულ გმირობას უწოდებს. ამ წარმატებით კობა გოგოლაძემ კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული კრივის ისტორია და, წელს, ალბათ, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულშიც დაიბევა ადგილი.



კობა გოგოლაძე ნადავლით
და მტკივანი მარჯვენით

**— კობა, ყველა დიდი იმედით ელოდა შენს წარმატებას. შენც იმედიანად წახვედი უნგრეთში?**

— ჩემპიონატისთვის საუცხოო ფორმაში ვიყავი, ვგრძნობდი, რომ უმედლოდ არ დავბრუნდებოდი. დანარჩენი, თუ სადამდე გავაღწევდი, ჩემს ოსტატობასთან ერთად სპორტულ იღბალზე იყო დამოკიდებული. აი, იღბალმა კი ზურგი მაქცია და სხვა გზა არ დამიტოვა — ბრინჯაოს მედალი მაკმარა.

**— მოდი, უფრო დაწვრილებით შენს უიღბლობაზე.**

— ჩემპიონატის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ ჩემს წონაში, 60 კილოგრამში ყველაზე მეტი მონაწილე იყო, ამიტომ ოქროს მედალზე მეოცნებეთ, ფინალის ჩათვლით, 6-6 შეხვედრის ჩატარება გვიწევდა. ასე მარტო ამ წონაში იყო, დანარჩენ 11 წონაში კი მოკრივეთ ხუთჯერ უნდა ებრძოლათ. თავიდან სამი შეხვედრა დამაჯერებლად მოვიგე და მეოთხედფინალში რუმინელ ლეონარდ დოროფტეის შევხვდი. ეს ის რუმინელია, შარშან ატლანტაში მსაჯების წყალობით რომ მომიგო. ახლა კი ჯავრის ამოყრის შესაძლებლობა მომეცა და რინგზე გამარჯვებისთვის გავედი. არც დოროფტეი იყო მარცხზე ყაბულს და მეტად უშელავათო ჩხუბი გავმართეთ. მთელი ორი რაუნდი გარდამავალი უპირატესობა იყო. მესამეში დოროფტეი ორი ქულით დაწინაურდა 11:9. მე გამეტებით შევუტიე და ამ დროს, ერთ-ერთი დარტყმისას მარჯვენა ხელის ცერა თითი მოვიტეხე.

**— მაშინვე იგრძენი, რომ თითი გქონდა მოტეხილი?**

— არა, რინგზე ეს არ ვიცოდი, თავში დავარტყი ლეონარდს და რაღაც საშინელი და აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. კარგი რომ არაფერი მჭირდა, ამას კი მივხვდი.

**— ბევრი შენს ადგილას იქვე შეწყვეტდა ბრძოლას. მით უმეტეს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ეჩხუბებოდი თითმოტეხილი, თანაც, აგებდი...**

— ტრავმა რომ მივიღე, ერთგვარად ჟინი და გამარჯვების წყურვილი მომემატა. ორი რაუნდი ასე ვიჩხუბე. 2 ქულაც ავართვი დოროფტეის, ანგარიში გავათანაბრე და მეტი აქტიურობისა და ბოლო ქულის მოპოვებისთვის მსაჯებმა მე მომანიჭეს გამარჯვება.

**— მეოთხედფინალშიც კი დარჩენილ ორ რაუნდში მოტეხილი თითით ჩხუბი შენგან დიდი ვაჟკაცობა იყო, მაგრამ შენ არც ნახევარფინალზე თქვი უარი. რა აზრი ჰქონდა ამ შეხვედრაში შენს ასპარეზობას, ხუთ რაუნდს ტრავმირებული როგორ იჩხუბებდი?**

— ნახევარფინალში მეტად ძლიერ მეტოქეს, მონღოლ მოკრივეს შევხვდი. ამ ბიჭმა შარშან კუბის დიდი საერთაშორისო ტურნირი „კარდინო-კარდი“ მოიგო, მაგრამ შვედეთის შარშანდელ ტურნირზე ეს მონღოლი დავამარცხე. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების შანსი მეტად მცირე მქონდა, მაინც გავრისკე და გავედი საჩხუბრად, ვიფიქრე, იქნებ ახლა მე გამიმართლოს-მეთქი. მაგრამ რამდენჯერმე დავარტყი თუ არა, მოტეხილი თითი საშინლად ამტკივდა და პირველსავე რაუნდში ბრძოლა შევწყვიტე.

**— რამდენად მძიმეა შენი ტრავმა?**

— უნგრეთში იმავე დღეს თითის სურათი გადავიღე და მყესებიც დაწყვეტილი გაქვსო, მითხრეს. სასწრაფოდ ოპერაციის გაკეთება მირჩიეს, მაგრამ მე გადავწყვიტე, მეორე დღესვე მეჩხუბა მონღოლთან და არ დავთანხმდი ოპერაციაზე. რაც საქართველოში დავბრუნდი, სიტუაცია შეიცვალა, შესაძლოა, ოპერაციას გადავურჩე და ისე განვიკურნო, თუმცა, არც ქირურგიული ჩარევაა გამორიცხული.

**— როგორც მოკრივე და თანაგუნდელი გიორგი კანდელაკის გამარჯვებაზე რას იტყვი? ალალად მითხარი, ელოდი გიორგის ჩემპიონობას?**

— გიორგისგან მედლის მოგებას ველოდი, მაგრამ თუ მაინცდამაინც ჩემპიონი გახდებოდა, მით უმეტეს, ფინალში ასე გაიმარჯვებდა, მართლა არ მეგონა. გიორგიმ აქ კუბელი რუბალკაბა სცემა, არადა, მანამდე, მეოთხედფინალში რუბალკაბამ მძიმეწონოსანთა ამ ჩემპიონატის ლიდერს, შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონს, რუს ალექსეი ლოზინს ნოკაუტით მოუგო მეორე რაუნდში: რინგის შუაგულში რუსს ისეთი დაარტყა, ლოზინი ჰაერში გაფრინდა და კუთხეში დაეცა. კანდელაკმა ჭკუით აჯობა კუბელს, თავისი საქმე გააკეთა და რუბალკაბას ჩხუბის საშუალება არ მისცა.

**— საქართველოს ნაკრების გუნდური მეხუთე ადგილიც არ იყო ჩვეულებრივი ამბავი.**

— ფაქტობრივად, ჩემმა და გიორგის მედლებმა გადაწყვიტა ნაკრების ეს წარმატება, თუმცა გუნდის არცერთ წევრს თავი არ დაუზოგავს საერთო საქმეში თავისი წვლილის შესატანად. ზოგს მეტიც შეეძლო, მაგრამ იღბალმა უმტყუნა, გოჩა რუსია და თენგიზ ჯაოშვილი კი მსაჯების მიკერძოების გამო გამოეთიშნენ ბრძოლას. ისე, 64 გუნდში მეხუთე ადგილი უდიდესი მიღწევაა, ისიც არასრული გუნდით, ჩვენ ხომ 4 წონაში არ გვყავდა მოკრივე. ნაკლული გუნდით კი ამხელა შედეგს ყველა ქვეყანა ვერ მიაღწევს.

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— ჩემი მთავარი საზრუნავი ჯერჯერობით ტრავმის მოშუშებაა. თითს მოვირჩენ და ნელ-ნელა ვარჯიშსაც შევუდგები. წელს, დეკემბერში ევროპის თასის გათამაშებაა. იგი ისრაელში უნდა გამართულიყო, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, ისრაელი უარს იტყვის მასპინძლობაზე და, მგონი, ასპარეზობა ჩაიშლება. ამიტომ საგაისო ტურნირებისა და ევროპის ჩემპიონატისთვის მოვემზადები, რომელსაც მაისში ბელარუსი უმასპინძლებს. ამ ჩემპიონატის ლიცენზია ხომ მოვიპოვე ამ ზაფხულს ინგლისში, ლივერპულის ტურნირზე.

დიდი იმედი მაქვს, რომ ქართული სპორტის თავკაცები ახლა უკვე მეტ ყურადღებას მიაქცევენ ქართულ კრივს და ჩვენი მომავალი შეხვედრისას უკვე კონკრეტულ მიზნებზე — დაგეგმილ ტურნირებსა და ჩემპიონატებზე ვისაუბრებთ.



კობა გოგოლაძე და მონღოლი ტუმენცეცეგ უტუმენი კობასთვის უიღბლო ბრძოლის მერეც მეგობრებად დარჩნენ

**ლევან ჯავახიშვილი**

# წელს სხვანაირი კრივია

საქართველოს კრივის ფედერაციამ შარშან და წელსაც ლამის წლის მიწურულს გამართა მოკრივეთა შინაური ჩემპიონატი, მაგრამ ამ ორ ასპარეზობას შორის ვეება განსხვავებაა. ერთი მხრივ, შარშანდელი ჩემპიონატი წლევანდელს იმით სჯობდა, რომ მასში უფრო მეტი ძლიერი მოკრივე ასპარეზობდა, ვიდრე წელს, მაგრამ შარშან ატლანტის ოლიმპიადაზე ქართველ მოკრივეთა არცთუ წარმატებული გამოსვლის მერე ჩატარდა ჩემპიონატი და ტურნირს რაღაც აკლდა, აი, ის, ჩვენში ალმაფრენას რომ უწოდებენ. სამაგიეროდ, წლევანდელი ჩემპიონატი საქართველოს მოკრივეთა ნაკრების სენსაციურ წარმატებას მოჰყვა — ჩვენებმა ხომ მსოფლიოს 64 გუნდს შორის მეხუთე ადგილი დაიკავეს. კობა გოგოლაძემ ბრინჯაოს მედალი მოიგო უნგრეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე, გიორგი კანდელაკმა კი ქართული კრივის ისტორიაში პირველმა მოიპოვა ოქროს მედალი. ამ გამარჯვებამ ქართული კრივის სამყარო ალაფრთოვანა და ერთობ ხალისიანად დაიწყო საქართველოს მოკრივეთა 1997 წლის ჩემპიონატი.

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ გოჩა რუსია და ვლადიმერ ჭანტურია ასპარეზობენ, რომელთაც გამოცდილებისა და ოსტატობის წყალობით არ გასჭირვებიათ ნახევარფინალამდე მიღწევა. სასიამოვნოა, რომ ამ ჩემპიონატზე საქართველოში ახლახან დაბრუნებული კახა ბარავიც ვიხილეთ. სპეციალისტთა პროგნოზებს თუ დავუჯერებთ, თავის წონაში — 67 კილოში ბარავის გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს.

გასახარია ერთი ფაქტიც: ამ ჩემპიონატზე საქართველოს 16 ქალაქისა და რაიონის 100-ზე მეტმა მოკრივემ მოიყარა თავი. გუნდური ჩემპიონობის პრეტენდენტებად ქუთაისელი, ფოთელი, გორელი და რუსთაველი მოკრივენი ითვლებიან. ამ დროს კი გორელთა ნაკრებში მხოლოდ 16 წლამდე ჭაბუკები ასპარეზობენ, მაგრამ მათ უფროსებს ტოლი არ დაუდეს და 4 გორელი უკვე ნახევარფინალშია.

მოკრივეთა ჩემპიონატს ამჯერად რუსთავის სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზი მასპინძლობს. დღესდღეობით საქართველოში კრივის ბუმი იწყება — ეს არ არის გადაჭარბებული ნათქვამი. ქართული კრივის ახალი ცხოვრების დასაწყისი არც მაღალჩინოსანთ გამორჩათ და ჩემპიონატის გახსნას შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე და რუსთავის ვიცე-მერი სოსო ჯაფარიძე დაესწრნენ.

ჩემპიონატზე დღეს ზოგ წონაში ნახევარფინალური, ზოგში დარჩენილი მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება, ხვალ კი ფინალებია.

**ლევან ჯავახიშვილი**

თუ მიზეზია, გაგვიხარია, რიგით ვიტყვით ხოლმე (უფრო, ვიტყოდით), როგორ გვასახელა ამ სპორტსმენმა, რა ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართული სპორტის მატიანეში, ან, მავანის ამ გამარჯვებას გვერდს ვერ აუვლის ჩვენი სპორტის მემატიანე და მისთანანი.

მერე, სად არის ეს მატიანე... [illegible] ყვადღა ვაქნევდით იმას, რაც აქამდეც უნდა დასტამბულ-აკინძული იყო, მაგრამ გულარხეინობასა და წინგაუხედაობას სხვა უამრავ საქმეშიც გაუბეცებია ჩვენი გონება და ეს რაღა გამონაკლისი...

# ნოდარ გუგუშვილმა გვიხსნა

ისევ გონით, ადამიანობით, პროფესიონალიზმით აღმატებული ეს კაცი შეგვეწია კოლეგებსაც, ჩვენს სპორტსაც, ქვეყანასაც თავისი წლობით ნამუშაკარით, რომელსაც ახლა „ოლიმპიური ენციკლოპედია“ ჰქვია და შაბათს ეს წიგნი კინოს სახლში შეკრებილ საზოგადოებასაც წარედგინა.

ენციკლოპედია ოლიმპიური მოძრაობის ისტორიისა და დღევანდელობის ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენასა და საინტერესო ამბავს ალნუსხავს, გვაცნობს პლანეტის გამოჩენილ სპორტსმენთა და თვალსაჩინო სპორტულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, სპორტის ოლიმპიურ სახეობებს და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს. წიგნში დეტალურადაა გაშუქებული ქართული სპორტის ოლიმპიური ისტორია, საქართველოს ოლიმპიელთა მონაგარი. ენციკლოპედიაში შევიდა დიდძალი სტატისტიკური მასალა, შვიდასზე მეტი ფოტო და ემბლემა. ამ წიგნის გამოცემას ხელმძღვანელობდა სოლიდური სარედაქციო კოლეგია, თითქმის ერთი წელი იმუშავა საგამომცემლო ჯგუფმა, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში ჩამოყალიბდა.

ნოდარ გუგუშვილმა მართლაც კოლოსალური შრომა გასწია, რათა ქართველებს ქართულ ენაზე გვქონოდა აკადემიური ოლიმპიური წიგნი, მისმა უმცროსმა კოლეგებმა კი (ამათში, თუ არ გვიწყენს, ერთს გამოვარჩევდით — წიგნის რედაქტორსა და საქმის დამძვრელს, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს) ჩვენამდე მოიტანეს ბატონი ნოდარის გარჯის ნაყოფი.

სავალალოდ, თავად ბატონი ნოდარი ვერ მოესწრო ენციკლოპედიის გამოცემას — 28 ოქტომბერს იგი 70 წლისა გახდებოდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **4 ნოემბერი** | | | | |
| უდინეზე (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | (2,8-1,3) | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| დინამო (თბილისი) — ბრაგა (პორტუგალია) | ანგარიში 4,5 | | | |
| კარლსრუე (გერმანია) — მეცი (საფრანგეთი) | (1,01-15,0) | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| ლივერპული (ინგლისი) — სტრასბური (საფრანგეთი) | (4,0-1,15) | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლიონი (საფრანგეთი) — ინტერი (იტალია) | (1,25-3,1) | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| კროაცია (ხორვატია) — მტკ (უნგრეთი) | (1,2-3,5) | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| ვალიადოლიდი (ესპანეთი) — სპარტაკი (რუსეთი) | (4,0-1,15) | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ტვენტე (ჰოლანდია) — ორჰუსი (დანია) | (1,1-5,0) | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ასტონ ვილა (ინგლისი) — ბილბაო (ესპანეთი) | (1,5-2,0) | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ოფი (საბერძნეთი) — ოსერი (საფრანგეთი) | (5,0-1,1) | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ბასტია (საფრანგეთი) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,55-1,9) | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ლაციო (იტალია) — როტორი (რუსეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| პაოკი (საბერძნეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | (15,0-1,01) | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| მიუნხენი (გერმანია) — რაპიდი (ავსტრია) | (3,5-1,2) | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| **5 ნოემბერი** | | | | |
| ანდერლეხტი (ბელგია) — შალკე (გერმანია) | (4,0-1,15) | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| **6 ნოემბერი** | | | | |
| ბოხუმი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია) | (1,8-1,6) | 1,7 | 2,9 | 4,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 ნოემბერი** | | | |
| დორტმუნდი (გერმანია) — პარმა (იტალია) | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| გალათასარაი (თურქეთი) — სპარტა (ჩეხეთი) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 3,6 | 3,1 | 1,7 |
| იუვენტუსი (იტალია) — კოშიცე (სლოვაკეთი) | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — დინამო (უკრაინა) | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ნიუკასლი (ინგლისი) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| პორტუ (პორტუგალია) — რუსენბორგი (ნორვეგია) | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — რეალი (ესპანეთი) | 5,0 | 3,6 | 1,4 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| პსჟ (საფრანგეთი) — ბაიერნი (გერმანია) | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ლიერსი (ბელგია) — მონაკო (საფრანგეთი) | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლევერკუზენი (გერმანია) — სპორტინგი (პორტუგალია) | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### თასების თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **6 ნოემბერი** | | | | |
| ჩელსი (ინგლისი) — ტრომსო (ნორვეგია) | (1,05-7,5) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| შტუტგარტი (გერმანია) — ეკერენი (ბელგია) | (— -30,0) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ქოჯაელი (თურქეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) | (1,8-1,6) | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ვიჩენცა (იტალია) — შახტიორი (უკრაინა) | (— -30,0) | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| კოპენჰაგენი (დანია) — ბეტისი (ესპანეთი) | (15,0-1,01) | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| შტურმი (ავსტრია) — აეკი (საბერძნეთი) | (3,1-1,25) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| სლავია (ჩეხეთი) — ნიცა (საფრანგეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| როდა (ჰოლანდია) — პრიმორიე (სლოვენია) | (— -30,0) | 1,2 | 4,2 | 8,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

31 ოქტომბერი

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი 104**
**იუტა ჯაზი 87**

დასავლეთის კონფერენციაში პირველობის ორი მოცილის შეხვედრა ლეიკერსის გამარჯვებით დამთავრდა. მათ რიგებში ტრავმირებული ცენტრების — შაკილ ონილისა და ელდენ კემპბელის ნაცვლად თავი ნიკ ვან ეჯსელმა და კობი ბრაიანტმა გამოიჩინეს, რომელთაც შესაბამისად 22 და 23 ქულა დააგროვეს. იუტელებში საუკეთესო შენდონ ანდერსონი იყო 21 ქულით, ხელმძღვანელმა კარლ მელოუნმა კი 20 ქულა და 14 მოხსნა გააკეთა.

**დალას მავერიქსი 90**
**ვანკუვერ გრიზლიზი 88**
მავერიქსი: დევისი (18) ფისი გრინი (15+14 მოხსნა)
გრიზლიზი: აბდულ-რაჰიმი (31+9 მოხსნა)

**სიეტლ სუპერსონიქსი 91**
**პორტლენდ ტრ. ბლეიზერსი 83**
სუპერსონიქსი: ბეიკერი (17+8 მოხსნა), პეიტონი (16)
ბლეიზერსი: გრანტი (19+11 მოხსნა), საბონისი (14+8 მოხსნა)

**სან ანტონიო სპურზი 107**
**დენვერ ნაგითსი 96**
სპურზი: რობინსონი (21+13 მოხსნა), დანკანი (15+10 მოხსნა)
ნაგითსი: ბ. ჯექსონი (27)

**ჰიუსტონ როკითსი 94**
**კლივლენდ კავალიერსი 86**

ჯერ კიდევ ხუთშაბათს ჩარლზ ბარკლი პენსიაზე გასვლით იმუქრებოდა, მაგრამ NBA-ს თავკაცებთან ბარში მომხდარი ინციდენტის გამო შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ სჯობს კიდევ ერთხელ სცადოს ჩემპიონად გახდომა, თუმცა სერ ჩარლზს ამიერიდან კარიერის დასასრულამდე პირადი მცველების თანხლებით სიარული ევალება. ჰიუსტონის რიგებში კი სეზონის პირველ მატჩში კევინ ვილისი გამოირჩა 20 ქულითა და 8 მოხსნით. კლივლენდელებში ლიტვემა ჟიდრუნას იგლაუსკასმა 16 ქულა და 16 მოხსნა მიითვალა.

**ფინიქს სანზი 110**
**ლოს ანჯელეს კლიპერზი 100**
სანზი: ჩეპმენი (24), მაკდაიესი (17), ჯონსონი (15)
კლიპერზი: ბერი (20)

**ნიუ იორკ ნიქსი 97**
**შარლოტ ჰორნეთსი 85**
ნიქსი: იუინგი (23), ჯონსონი (22), სტარქსი (20)
ჰორნეთსი: მეისონი (21+12 მოხსნა)

**ბოსტონ სელტიქსი 92**
**ჩიკაგო ბულზი 85**

ბოსტონში ნამდვილი სენსაცია მოხდა. ახალბედებით დაკომპლექტებულმა რიკ პიტინოს გუნდმა NBA-ს შარშანდელ ჩემპიონს — ჩიკაგო ბულზს მოუგო, თანაც პირველი მეოთხედის მერე 20-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად. ჯორდანმა თავისი 30 ქულიდან 16 მეოთხე მეოთხედში დააგროვა, მაგრამ დაცვაში შესანიშნავად მოთამაშე ბოსტონმა მაინც თავისი გაიტანა. მის რიგებში განსაკუთრებით ანტუან უოლკერი გამოირჩეოდა (31+8 მოხსნა).

**დეტროიტ პისტონზი 92**
**ვაშინგტონ ვიზარდსი 79**
პისტონზი: ჰილი (25+12 მოხსნა + 8 პასი), ჰანტერი (23)
ვიზარდსი: ვებერი (19)

**ნიუ ჯერსი ნეთსი 97**
**ინდიანა პეისერზი 95**
ნეთსი: ვილიამსი (18+20 მოხსნა), გილი (20), კასელი (18)
პეისერზი: მილერი (35), სმიტსი (18+12 მოხსნა).

რიკ სმიტსმა ორი საჯარიმო გააფუჭა შეხვედრის დამთავრებამდე 1 წამით ადრე.

**მაიამი ჰითი 114**
**ტორონტო რეპტორზი 101**
ჰითი: მაშბურნი (22), ჰარდევეი (21+11 პასი)
რეპტორზი: კემბი (17+12 მოხსნა).

**მილუოკი ბაქსი 103**
**ფილადელფია 76 88**
ბაქსი: ალენი (29), ბრენდონი (16+9 პასი)
76: ჯექსონი (18), კოულმენი (17+11 მოხსნა)

**მინესოტა ტიმბერვულვზი 129**
**გოლდენ სტეიტ უორიორზი 113**
ტიმბერვულვზი: გულიოტა (28+11 მოხსნა), გარნეტი (25+11 მოხსნა), მარბერი (11+14 პასი)
უორიორზი: სპრიუელი (45), მარშალი (19+10 მოხსნა)

1 ნოემბერი

**დალას მავერიქსი 89**
**სიეტლ სუპერსონიქსი 81**
მავერიქსი: ფინლი (20+10 მოხსნა), ბრედლი (17+14 მოხსნა)
სუპერსონიქსი: პეიტონი (12+12 პასი), ბეიკერი (14)

**პორტლენდ ტრ. ბლეიზერსი 82**
**ლოს ანჯელეს კლიპერზი 74**
ბლეიზერსი: ანდერსონი (20), გრანტი (19+11 მოხსნა)
კლიპერზი: ბერი (18)

**ჩიკაგო ბულზი 94**
**ფილადელფია 76 74**
ბულზი: ჰარპერი (17), ჯორდანი (16)
76: სტეკჰაუსი (15).

**ნიუ ჯერსი ნეთსი 113**
**მილუოკი ბაქსი 109**
ოვერტაიმში
ნეთსი: კასელი (33), გეტლინგი (25+11 მოხსნა)
ბაქსი: რობინსონი (32), ჯონსონი (14+14 მოხსნა)

**იუტა ჯაზი 102**
**დენვერ ნაგითსი 84**
ჯაზი: მელოუნი (24), ჰორნაჩეკი (14)
ნაგითსი: სტიტი (18)

**მაიამი ჰითი 109**
**ვაშინგტონ ვიზარდსი 108**
ჰითი: ჰარდევეი (26+11 პასი), მაშბურნი (19)
ვიზარდსი: ვებერი (30+13 მოხსნა), რ. სტრიკლენდი (20+13 პასი)

თამაში, ფიქტიურად, მარტო ტიმ ჰარდევეიმ მოიგო, რომელმაც დამთავრებამდე 15 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო, მერე კი საკუთარ მოედანზე მიღებული ბურთი მეტოქის ფარამდე აიტანა და 0,3 წამით ადრე საფინალო სასტვენამდე კალათში მოათავსა, რითაც 18 291 ვაშინგტონელი საბოლოოდ დაადუმა.

**მინესოტა ტიმბერვულვზი 106**
**შარლოტ ჰორნეთსი 90**
ტიმბერვულვზი: მარბერი (23+13 პასი), გულიოტა (20)
ჰორნეთსი: გეიგერი (21)

**სან ანტონიო სპურზი 83**
**კლივლენდ კავალიერსი 80**
სპურზი: რობინსონი (22+9 მოხსნა), დელ ნეგრო (15)
კავალიერსი: კემპი (26+10 მოხსნა), იგლაუსკასი (13+9 მოხსნა)

მატჩი გუნდების ლიდერების — რობინსონისა და კემპის დუელად იქცა. კემპმა, რომელიც თავის ახალ გუნდში პირველად თამაშობდა, მეტოქეს კი აჯობა, მაგრამ თანაგუნდელებისგან გაცილებით ნაკლები დახმარება მიიღო.

**ატლანტა ჰოუქსი 90**
**ტორონტო რეპტორზი 85**
ჰოუქსი: მუტომბო (18+12 მოხსნა)
რეპტორზი: სტუდემაიერი (21)

**ინდიანა პეისერზი 96**
**გოლდენ სტეიტ უორიორზი 83**
პეისერზი: მილერი (33), სმიტსი (23+13 მოხსნა)
უორიორზი: სპრიუელი (25)

ლარი ბიორდმა თავისი პირველი მატჩი მოიგო მწვრთნელის რანგში. ამჯერად რეჯი მილერმა წინა თამაშზე ნაკლები ქულა დააგროვა, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა

**ვანკუვერ გრიზლიზი 97**
**საკრამენტო კინგზი 96**
გრიზლიზი: აბდულ-რაჰიმი (19), ტორფი (15+13 მოხსნა)
კინგზი: რიჩმონდი (24)

გადამწყვეტი ბურთი მატჩის დამთავრებამდე 2,7 წამით ადრე ბრაიანტ რივსმა ჩატენა.

2 ნოემბერი

**ჰიუსტონ როკითსი 93**
**საკრამენტო კინგზი 77**
როკითსი: ოლაჯუონი (18), უილისი (16), ბარკლი (15+14 მოხსნა)
კინგზი: რიჩმონდი (21)

**ორლანდო მეჯიკი 107**
**ბოსტონ სელტიქსი 96**
მეჯიკი: ჰარდევეი (32), ჰარპერი (19)
სელტიქსი: მერსერი (23), უოლკერი (19+11 მოხსნა)

ის, რაც ჯორდანის „ბულზმა" ვერ მოახერხა, წარმატებით განახორციელა პენი ჰარდევეის ორლანდომ. ჰარდევეი, რომელიც ადრე გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა, ფაქტიურად, გაუჩერებელია მსროლელის ადგილზე

**დეტროიტ პისტონზი 94**
**ნიუ იორკი ნიქსი 86**
პისტონზი: ჰილი (34+9 მოხსნა), ჰანტერი (23)
ნიქსი: იუინგი (16+13 მოხსნა), ჯონსონი (16)



# სამპრასის მარტოობა



პიტ სამპრასი

პარიზი. საფრანგეთი. პარიზის ღია პირველობა. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდო 2,5 მილიონი დოლარი.

**ნახევარფინალი: პიტ სამპრასი (1, აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 7:6 (7:2), 6:3. იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) — ტომას ენკვისტი (15, შვედეთი) 7:6 (7:5), 7:5.**

მას შემდეგ, რაც 1996 წლის როლან გაროსის ნახევარფინალში კაფელნიკოვთან სამარცხვინოდ დამარცხდა, მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასს ოთხ პირად შეხვედრაში ერთი სეტიც კი აღარ წაუგია რუსთან. მკლავნატკენი ამერიკელი პირველ ხელში მაინცდამაინც შთამბეჭდავად ვერ გამოიყურებოდა და სოჭელი ჟენია მეცხრე გეიმში გახერხებული ბრეიკით დაწინაურდა 5:4, მაგრამ პარტიის მოგებას თავი მაინც ვერ მოაბა — ჯერ ორმაგი გააკეთა, მერე ბადესთან შეცდა და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. ტაიბრეიკზე სამპრასი გაცილებით ძლიერი იყო: თავისი ვითომდა მოშლილი ბექჰენდით ორჯერ ზედიზედ ბურთი პირდაპირ გვერდითა ხაზს დაასვა, წინ უაზროდ გაქცეულ რუსს მშვენივრად შემოავლო და დაწინაურდა კიდეც. კაფელნიკოვი, რომელიც მებრძოლი ხასიათით მაინცდამაინც არასოდეს გამოირჩეოდა, წარუმატებლობისთანავე გატყდა და მეორე ხელის დასაწყისში სამი გეიმი წააგო. მართალია, მერე ანაგრიშში სხვაობა მინიმუმამდე კი შეამცირა, მაგრამ ზედიზედ მეორე წელს ტურნირის ფინალში გასვლა მაინც ვეღარ მოახერხა. დამარცხდა შარშანდელი გამარჯვებული — შვედი ტომას ენკვისტიც, რომელმაც რუსის არ იყოს, თავადაც გაანიავა უპირატესობა პირველ სეტში.

**ფინალი: სამპრასი — ბიორკმანი 6:3, 4:6, 6:3, 6:1.**

გადამწყვეტ მატჩში გამარჯვებისა, ალბათ, თავად იონას ბიორკმანსაც კი არ სჯეროდა, რადგან ფინალამდე მისი მეტოქე ლამის ყველა ბობოლასა და მოგების პრეტენდენტს გაუსწორდა. შვედი მთელი შეხვედრის განმავლობაში ძალზე ნერვიულობდა და პირველი მოწოდების 50 პროცენტზე ნაკლებს აგდებდა, რაც სამპრასთან შეხვედრაში თვითმკვლელობის ტოლფასია. მსოფლიოს პირველი ჩოგანი მეტოქეს მიღებაზე თამაშის გარდა ყველა კომპონენტში ჯაბნიდა, რაც განსაკუთრებით უკანა ხაზზე გათამაშებისას იჩენდა ხოლმე თავს. სამპრასმა მხოლოდ მეორე ხელში მისცა საკუთარ თავს მოდუნების უფლება, რაც უპირატესობის გაფლანგვად დაუჯდა. შვედმა 0:3-დან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი წინაც გაიჭრა. სეტის უკანასკნელ გეიმში ბიორკმანმა თავისი ერთადერთი უპირატესობა — ზუსტი მიღებები აამუშავა, სამპრასს საეისოდ გამზადებული მოწოდებები უკან აულებლად დაუბრუნა და ამერიკელმაც პირველივე სეტ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. ენთუზიაზმი ბიორკმანს დიდი ხანი არ გაჰყოლია — სამპრასმა მესამე სეტში თავის მოწოდებაზე მხოლოდ ოთხი ბურთი დათმო, ფრი ბრეიკი გაახერხა და იმედდაკარგული მეტოქე ბოლო ხელში მთლად გაანადგურა. პარიზში გამარჯვებით სამპრასმა, ფაქტობრივად, ზედიზედ მეხუთე წელია, მსოფლიოში პირველობა გაინაღდა, რაც აქამდე მხოლოდ ჯიმი კონორსს მოუხერხებია 1974-78 წლებში. მისი დაწევა თეორიულად მხოლოდ პატრიკ რაფტერს შეუძლია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ კვირაში სტოკჰოლმის ტურნირსაც მოიგებს და მერე ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატსაც. სამპრასმა თავის კარიერაში 51-ე გამარჯვებისთვის 390 ათასი დოლარი მიიღო, იონას ბიორკმანმა კი კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე აინაცვლა და პირველად მოიპოვა ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება.

მოსკოვი. კრემლის თასი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდო 926 250 დოლარი.

**მეოთხედფინალი: იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — ვინუს უილიამსი (აშშ) 7:5, 6:4; აი სუგიამა (იაპონია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:1), დომინიკ ვან-რუსტი (ბელგია) — ირინა სპირლეა (2, რუმინეთი) 6:2, 6:4; კონჩიტა მარტინესი (4, ესპანეთი) — სანდრინ ტესტიუ (6, საფრანგეთი) 2:6, 6:1, 6:4.**

მეოთხედფინალებში ორი დიდი მოულოდნელობა მოხდა — ჩია აი სუგიამამ ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი არანჩა სანჩესი დაამარცხა, ბელგიელმა ვან რუსტმა კი — ყიამყრალი რუმინელი სპირლეა. ჩეხმა იანა ნოვოტნამ 17 წლის ვინუს უილიამსს დაანახა, რომ ჩოგბურთში მძლავრი დარტყმების გარდა ცოტა სალი აზრიცაა საჭირო.

**ნახევარფინალი: ნოვოტნა — მარტინესი 6:4, 6:1; სუგიამა — ვან რუსტი 6:2, 4:6, 6:3.**

ნოვოტნა — მარტინესის შეხვედრაში თანაბარი თამაში მხოლოდ პირველ სეტში მიმდინარეობდა. 4:4-ზე ჩეხმა იძალა და მძლავრი მოწოდებებითა და ბადესთან უნაკლო თამაშით მომდევნო ცხრა გეიმიდან მეტოქეს მხოლოდ ერთი დაანება. აი სუგიამა კი ფინალში გასვლას მოსკოვის კლიმატს უნდა უმადლოდეს, რადგან ვან რუსტი რუსეთის დედაქალაქში სეირნობისას გაციებულა და მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია.

**ფინალი: ნოვოტნა — სუგიამა 6:3, 6:4.**

ფინალი საშინელი სანახავი იყო. ქულების 90 პროცენტზე მეტი ჩოგბურთელებმა ერთმანეთის შეცდომების ხარჯზე მოიპოვეს, თუმცა, საბოლოოდ ნოვოტნას გამოცდილება გადამწყვეტი აღმოჩნდა. ჩეხმა ქალმა გამარჯვებისთვის 150 ათასი დოლარი მიიღო, იაპონელმა — 67.

**ავთანდილ სვანიძე**



# ნუ გააბრაზებთ პინგვინებს

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### პიტსბურგი — ვანკუვერი 7:6

**შაიბები: სტრაკა 4 (1:0), ოლჩიკი 7 (2:0), ბურე 7 (2:1), ვაიჩი (2:2), ნესლუნდი 2 (2:3), ლინდენი 4 (2:4), მესიე 4 (2:5), ბრაუნი 2 (3:5), მესიე 5 (3:6), ფრენსისი 7 (4:6), სტრაკა 5 (5:6), მოროზოვი 3 (6:6), ბრაუნი 3 (7:6)**

იღბლიანი 8-მატჩიანი საგარეო სერიის შემდეგ შინ დაბრუნებული პიტსბურგი ვანკუვერს კარგი განწყობით შეხვდა და უკვე მე-6 წუთისთვის 2:0-ს იგებდა. თანაც სტრაკამ ანგარიში უმცირესობაში გახსნა, მაგრამ ხანგრძლივი ჩავარდნით გაწამებულმა კანადელებმა თავდაჯერებულ მეტოქეს ცუდი დღე აყარეს — 5 წუთში 5 შაიბა გაუტანეს. თუმცა, ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ვანკუვერი ჩვეულებრივ, ულიმღამოდ ათამაშდა. მართალია, მეორე პერიოდის პირველსავე წუთზე მარკ მესიემ (2+1,5) კვლავ გაიტანა, მაგრამ უკვე ნათელი იყო, რომ ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ. საბოლოოდ „პინგვინებმა" თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს, სადაც ბედმა მასპინძლებს გაუღიმა.

### ფილადელფია — დალასი 3:3

**შაიბები: ნუინდაიკი 6 (0:1), ბუბოვი 2 (0:2), ბრინდამორი 5 (1:2), კოფი 1 (2:2), ლეკლერი 12 (3:2), ლანგებრუნერი 6 (3:3)**

ლიგის ერთ-ერთ გრანდ ფილადელფიას ბოლო მატჩებში ბედი აშკარად არ წყალობდა და ამიტომაც ჰაერივით სჭირდებოდა ამბიციურ დალასთან მოგება. მაგრამ მეორე პერიოდის შუაგულში „მფრინავებს" ისე გაუხდათ საქმე, მოგებაზე კი არა, მატჩის გადარჩენაზე ფიქრობდნენ — 0:2 ხომ აგებდნენ, თანაც უმცირესობაში დარჩნენ. ისევ შეუპოვარმა ბრინდამორმა იძალა, მისმა გოლმა ფილადელფია სრულიად გარდაქმნა. ორჯერ ლინდროსმა (2 პასი) წამოიწყო საგოლე კომბინაცია და მასპინძლებს ცოტაც რომ მოენდომებინათ, მატჩის ბედსაც გადაწყვეტდნენ. ამის მერე ისინი ოდნავ მოეშვნენ და დალასმაც უმალ ისარგებლა ამით.

**31 ოქტომბერი. კაროლინა — ბუფალო 2:3, ვაშინგტონი — ფილადელფია 2:2, დეტროიტი — ლოს ანჯელესი 1:5, ჩიკაგო — სან ხოსე 5:3**
**1 ნოემბერი. ბოსტონი — ედმონტონი 3:1, მონრეალი — ტორონტო 5:1, აილენდერსი — ლოს ანჯელესი 4:2, ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 3:1, ფლორიდა — ბუფალო 3:4, სენტ ლუისი — სან ხოსე 2:0, კოლორადო — კალგარი 3:3**
**2 ნოემბერი. ოტავა — ბოსტონი 1:3, დეტროიტი — ანაჰაიმი 4:3, ჩიკაგო — პიტსბურგი 3:1, ფინიქსი — კალგარი 3:1**

პარასკევს სატურნირო ცხრილის მეზობელ კაროლინასთან წარმატების შემდეგ ბუფალოს ძალზე გაუჭირდა ფლორიდასთან, რადგან „პანტერებმა" პირველსავე პერიოდში ორი გოლი შეაგდეს. მასპინძლები ასეთ უპირატესობას ძვირად უშვებენ ხოლმე ხელიდან, მაგრამ ახლა, სრულიად მოულოდნელად, რიცხემრავლობაში დოუსა (8) და პეკას კომბინაცია გამოეპარათ და ბუფალომ ამით უმალ ისარგებლა. მართალია, ფლორიდამ მინიმალური უპირატესობა შეინარჩუნა, მაგრამ იმავე პეკამ ანგარიში გაათანაბრა და პარტნიორებიც გამოაცოცხლა — ოვერტაიმში უორდმა გადამწყვეტი შაიბა შეაგდო.

კიდევ ერთმა აუტსაიდერმა — ჩიკაგომ ორივე შეხვედრა მოიგო. როგორც იქნა, გამოიღო ხელი კლუბის მთავარმა სნაიპერმა ტონი ამონტემ.

მეტად მოულოდნელი შედეგით დასრულდა მატჩი დეტროიტში, სადაც ფავორიტმა მასპინძლებმა სენსაციური მარცხი იწვნიეს ლოს ანჯელესისგან. თუმცა, რაღა სენსაციური — წელს ხომ ლოსანჯელესელებმა ბევრ ლიდერს გაუფუჭეს გუნება. ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი მოგერ (1 გოლი) — შტუმპელ (2 პასი) — რობიტაილის (0+1) სამეულმა, რომელმაც 3 გოლს ჩაუყარა საფუძველი. ამ ტრიომ აილენდერსთანაც იხეირა — გარემარბებმა თითო-თითო შაიბა შეაგდეს, მაგრამ ამან საერთო წარმატებისთვის არ იკმარა.

რაც შეეხება დეტროიტს, „წითელფრთიანები" სტუმრად საუცხოოდ თამაშობენ — მათ ექვსივე მატჩი მოიგეს. სამაგიეროდ, შინ მეტად უჭირთ. არც ანაჰაიმთან შეხვედრა გამოდგა ჩემპიონთათვის იოლი და მას შემდეგ, რაც სტუმართა მცველმა მირონოვმა 37-ე წუთზე ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, დეტროიტელებმა ძლივს შეინარჩუნეს ორი ქულა.

მცირე შეფერხების შემდეგ კვლავ გაიხარა ბოსტონმა და ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა — ედმონტონის დამარცხებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ჩრდილო-აღმოსავლეთის კიდევ ერთი ლიდერის, ოტავას ძლევა იყო. მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ „დათვებმა" იაშინისა და ალფრედსონის ჩაკეტვით მიაღწიეს საწადელს: მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე დიმაიომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რასაც ცარიელ კარში გატანილი შაიბა მოჰყვა. ამ მოგებით ბოსტონმა ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონში პირველ ადგილზე აინაცვლა.

ამასობაში აღმოსავლეთის კიდევ ერთი გრანდი ნიუ ჯერსი თანდათან უმატებს და ვაშინგტონთან გამარჯვების შემდეგ ატლანტურ დივიზიონსაც გაუძღვა. საყურადღებოა: სამ მოგებულ მატჩში „ეშმაკებმა" 16 გოლი გაიტანეს და მხოლოდ 2 გაუშვეს!

ნიუ ჯერსისგან განსხვავებით, მრისხანე კოლორადოს ძალზე უჭირს ქულების მოპოვება. აუტსაიდერ კალგარისთან იგი 68 წამის განმავლობაში კამენსკის მიერ გატანილი ორი გოლის წყალობით დაწინაურდა, მაგრამ მეტოქემ ტოლი არ დაუდო ლიგის ფავორიტს და საბოლოოდ ქულაც აართვა.

ბოლოს მონრეალის დამაჯერებელ გამარჯვებას აღვნიშნავთ. მართალია, მისი მეტოქის — ტორონტოს ლიდერები სუნდინი და ბერეზინი საკმაოდ გამოცოცხლდნენ და რუსმა თავისი პარტნიორის პასით ამჯერადაც იხეირა, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

**სამველ ლარიგიანი**

## საქართველოს XXX პირველობა

ა ჯგუფის შემოდგომის სტადია

VI ტური

31.10. ჭყონდიდლის დასახლება: რუსთავის აზოტი 29 (14) (5ლ: ძოწენიძე, უჩავა 2, რეხვიაშვილი, ხუციშვილი; 2გ: ძაგნიძე) — ასძ 3 (0) (ს: ძამაშვილი). მსაჯი გოჩა აბაშიძე

შაბათი, 1 ნოემბერი. ვაკე

### ყოჩები 46 : 6 გუმარი

(16:6). მსაჯი (დრო) ნოდარ რობიტაშვილი (44 + 49 წუთი)

ყოჩები: მაჩიტიძე (ჭეიშვილი); წიკლაური (ცხვედიანი), საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, პეტრიაშვილი; ტეფნაძე, გიორხელიძე (ხელაძე) — ეხაკია, კიკუაშვილი (კობახიძე), აბელედიანი; გიორგობიანი (გუშარაშვილი), სულთანიშვილი; ლეჟავა, ურუშაძე, ტყეშელაშვილი. — 4ლ: საკანდელიძე (7, 78), ტეფნაძე (62), ჭეიშვილი (92); 4გ: ტეფნაძე (7), კობახიძე (62, 78, 92); 6ს: ტეფნაძე (3, 17, 32, 57), კობახიძე (67, 77)

გუმარი: ურჯუკაშვილი; მათიაშვილი, ბესელია, მაისურაძე, ბუგიანიშვილი; მოდებაძე (გააძევეს 73), ჯანელიძე — ჯაველიძე, ზურ. პინაიშვილი, ნიკოლაენკო; ფესვიანიძე, მჭედლიშვილი; ობოლაძე, ზედგენიძე, დიდებულიძე. — 2ს: მოდებაძე (10, 19)

| რჩევა 4ი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 18 | 16 | 1 | 1 | 493:196 | 56-17 | 33 |
| აზოტი (რ) | 18 | 13 | 1 | 4 | 354:222 | 46-16 | 26 |
| ლოკომოტივი | 18 | 10 | 1 | 7 | 327:230 | 36-23 | 21 |
| აია-ჰეი (ქ) | 18 | 9 | 0 | 9 | 295:293 | 35-29 | 17 |
| გუმარი | 18 | 7 | 1 | 10 | 322:344 | 37-34 | 13 |
| ასძ | 18 | 3 | 0 | 15 | 168:463 | 20-72 | 6 |

პლეი-ოფში ოთხი მოწინავე გადის

### ნოემბრის მატჩები

VII ტური. 5 (ოთხ): გუმარი — აზოტი, აია — ასკ; 6 (ხუთ): ყოჩები — ლოკომოტივი

VIII ტური. 10 (ორ): აზოტი — აია, ასკ — ყოჩები; 12 (ოთხ): ლოკომოტივი — გუმარი

IX ტური. 15 (შაბ): ყოჩები — აია; 16 (კვი) გუმარი — ასკ; 17 (ორ): ლოკომოტივი — აზოტი

ბოლო, X ტური. 21 (პარ): აზოტი — ყოჩები, აია — გუმარი, ასკ — ლოკომოტივი

პლეი-ოფის — ნახევარფინალებისა და ფინალების ვადა მოგვიანებით გამოქვეყნდება



# ყოჩთა დროება

სეზონის უცვლელმა ლიდერმა „ყოჩებმა“ ერთხელაც დაამტკიცეს კლასი — „გუმარს“ მაშინ აგემეს უსასტიკესი მარცხი, როცა შარშანდელ ჩემპიონს პლეი-ოფში გასვლის შანსი გაუჩნდა.

შაბათის თამაშის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „გუმარს“ „აიას“ გასწრების თეორიული შესაძლებლობა კიდევ რჩება, მაგრამ ვეჭვობთ, ქუთათურებმა, რომლებიც სეზონის ფინიშზე საგრძნობლად მოღონიერდნენ, მეოთხე პოზიცია დათმონ.

„ყოჩებმა“ წელს ოთხ თამაშში მეოთხედ ძლიეს „გუმარი“. არადა, ეროვნულ ნაკრებში მათგან მეტოქეზე ნაკლები მოთამაშე აყავთ ხოლმე. როგორც გუნდთან დაახლოებული პირები ამბობენ, თავმოყვარე ბიჭებს ამაზე გული წყდებათ და უკეთესობის დამტკიცებას მოედანზე ცდილობენ.

როცა გუნდი თამაშს ლელოებით 4-0 მოიგებს, მეტოქეს სათქმელი აღარაფერი აქვს. დიახ, „ყოჩებმა“ თავიდანვე დაზაფრეს „გუმარი“ და 10:0 დაწინაურდნენ. მერე ტაიმის ბოლომდე შედარებით თანაბარი ბრძოლა იყო, მატჩის ბედი კი მაშინ გადაწყდა, როცა ბესო ტეფნაძემ გუნდის მეორე ლელო გაიტანა, კახა კობახიძემ კი გარდასახვით ანგარიში 26:6 გახადა.

ლიდერი არც ამის შემდეგ მოდუნებულა და ნირწამხდარი ჩემპიონი ბოლომდე გაანადგურა. „გუმარი“ არსებობის მეოთხე სეზონს ითვლის და ამოტოლა სხვაობით არასოდეს დამარცხებულა. ვერც მისი საშემოდგომო ფორმა აფიქრებინებდა ვისმე მთავარ მეტოქესთან ასე თუ წააგებდა.

„ყოჩები“ ერთობ თანაბარი, უსუსტადგილო გუნდია. რეზერვი ხომ მთლად სრულფასოვანი ჰყავს. არც ყოჩები და კარში დამრტყმელები აკლია. მოკლედ, ახლა ისღა დარჩენია, რომ მთელი წლის ნაჯაფი, რომელიც პლეი-ოფის ორივე თამაშში შინ ასპარეზობის უფლებას ანიჭებს, ჩემპიონობით დაამშვენოს.

ზაზა ფხაკაძე

### ქორებს ლოკომოტივობა წადიათ

1 ნოემბერს „ქორების“ თავკაცმა თემურ ბენდიაშვილმა ერთბაშად ორ სპორტულ გაზეთსა და რაგბის კავშირელ გოჩა აბაშიძეს განუცხადა, რომ მისი გუნდის ბიჭებს კარგა ხანია გადაუწყვეტიათ სახელის გამოცვლა, უფრო სწორად, ძველის აღდგენა.

მოგეხსენებათ, „ქორები“ საქართველოს რკინიგზის კლუბი და გამოჩენილი „ლოკომოტივის“ პირდაპირი მემკვიდრეა. გუნდს ოდინდელი სახელი აქაურმა სპორტსახკომმა 1987 წლის ივნისში, თვითმფრინავის გახმაურებული ინციდენტის შემდეგ დაუფადალა.

ეშხიანი ქართული დასახელების კოსმოპოლიტურ-ინდუსტრიულით შეცვლა ჩვენს ხანაში მოსაწონი როგორ უნდა იყვეს, მაგრამ „თემურიხა და მისი რაზმის“ კანონიერი სურვილიც ხომ ანგარიშგასაწევია და „ქორებს“ ამიერიდან „ლოკომოტივად“ მოვიხსენიებთ.

# ესაა ფრანგული სამართალი?

რაგბში სამართალდამცავი ორგანოები უხეშად ჩაერივნენ.

სექტემბერში „ბრივმა“ და „პონტიპრიზმა“ ბარში რომ გაარჩიეს მოედნიდან გაყოლილი ბოლმა, სამი უელსელი — 8 ნომერი მაკინტოში, კვაჭი ჯოუნზი და შუამარბი ბარნარდი პოლიციამ დაკითხა. რაკი მათი საქმის გამოძიება ჯერაც გრძელდება, ფრანგულ კანონთა თანახმად მათ ბრივის ოლქში ხელახლა შეშვებაზე უარი ეთქვათ. სამაგიეროდ, მასპინძლებს არგენტინის ნაკრებში სათამაშოდ წასული ლიზანდრო არბისუს გარდა არავინ კლებიათ: თვით ცხვირგატეხილმა 9 ნომერმა ფილიპ კარბონომაც ითამაშა, ვინაც უწესობის გამო ნაკრებიდანაა დათხოვნილი.

ამძენმა რაგბმა და ცემა-ტყეპამ გუნდები დაამოყვრა. მესამე, მერვედფინალურმა თამაშმა წესიერად ჩაიარა. „ბრივი“ 18:0 დაწინაურდა, მერე „პონტიპრიზმა“ 20:18 გაიჯეჯილა, მაგრამ მეოთხედფინალში ბოლოს მაინც ფრანგები გავიდნენ.

### „ჰაინეკენის“ ევროპის თასი

მერვედფინალი. 1.11: ბრივი (საფრანგეთი) 25 (18) (3ლ: ლამეზონი, ტრავერი, კარა; 2გ და 2ს: ლამეზონი) — პონტიპრიზი (უელსი) 20 (0) (2ლ: სპილერი, ჯეიმზი; 2გ და 2ს: ჯენქინსი); ლესთერი (ინგლისი) 90 (50) (14ლ, 10გ) — გლაზგო (შოტლანდია) 19 (5) (3ლ, 2გ); კარდიფი (უელსი) 24 (14) (2ლ: ნ. თომასი, კაჩალა; გ და 4ს: ჯარვისი) — ჰლანელი (უელსი) 20 (3) (3ლ: მაკბრაიდი, პროქტორი, გ. ევანსი; გ და ს: ვორლოუ)

მეოთხედფინალი. 8.11: ბასი (ინგლისი) — კარდიფი, ტულუზი (საფრანგეთი) — ჰარლიქვინზი (ლონდონი, ინგლისი); 9.11: ვოსფსი (ლონდონი) — ბრივი, პო (საფრანგეთი) — ლესთერი

„ჰაინეკენის თასს“ გათამაშებას ფრიად ორიგინალური სისტემა რომა აქვს, მერვედფინალი კიდევ ორი გაიმართა. ერთში „ლესთერის“ სამხრეთაფრიკელმა 10 ნომერმა ჯოელ სტრანსკიმ სამი ლელოთი და 10 გარდასახვით 35 ქულა მოიხვეჭა. მეორეში უელსური შინაომი იყო: საფრანგეთიდან ბრიტანეთს გადახვეწილმა პოლონელმა ფლანკერმა გჟეგოჟ კაჩალამ დედაქალაქს დასავლეთის დაბის გუნდთან გაამარჯვებინა.

# მაკქვინს ჯოუნზი გაახსენდებოდა

„ვოლაბთა“ ტურნე

III თამაში, I ტესტი. 1.11. ბუენოს-აირესი. ფეროკარილ-ოესტე. 17 ათასი მოხეირე

### არგენტინა 15:23 ავსტრალია

(6:11). მსაჯი ბერთი სმითი (ირლანდია)

არგენტინა: ზურადო; ალბანეზე, სიმონე, ტურნესი, ხიანანტონიო; არბისუ, პიჩო — გრაუ, ლედესმა (სკელსო), რეხიარდო; სპორლედერი ჰაპ, ალუბი; მარტინი, კამერლინკში, რუისი. — 5ს: ხიანანტონიო

ავსტრალია: ლარქემი; თიუნი, ჰორანი, ჰოვარდი, როფი; ნოქსი, გრეგანი — ჰარი, ფოლი, ა. ბლეიდსი; ვო, ილზი ჰაპ; ფინეგანი (ოფენგაუე), რობინსონი, ქოქერი. — ლ: ფინეგანი; 6ს: ნოქსი

არგენტინელები ფრიად სტუმართმოყვარე ერი კია, მაგრამ რაგბის მოედანზე მეტოქის დანდობა მაინც არ იციან: ბობოლა სტუმრებს ჯიგრით ეთამაშებიან ხოლმე და ხშირადაც ამარცხებენ.

1987 წელს „ვოლაბთა“ არგენტინული ფიასკო ნაკრების გამოჩენილ მწვრთნელ ალან ჯოუნზს მოხსნად დაუჯდა. ავსტრალიელთა ახალი თავკაცის, როდ მაკქვინის გადაყენება ჯერ კიდევ ადრეა, მით უფრო, თუ „ვოლაბებმა“ შაბათს მისი თავკაცობით პირველი ტესტი გამართეს და, რაც უნდა იყოს, გაიმარჯვეს, არ წაუგიათ, მაგრამ ნაკრებმა აღთქმული ეშხიანი რაგბი რომ ვერ უჩვენა ქომაგებს, ეს ნოვატორად ცნობილ მაკქვინს პოზიციას ვერ უნდა უმაგრებდეს.

სანახაობა ირლანდიელმა მსაჯმა გააფუჭა. მან 45 ჯარიმა (!) დანიშნა. თამაში ნაწყვეტ-ნაწყვეტი გამოვიდა. ერთადერთი ლელო ოუენ ფინეგანმა მე-5 წუთზე ჯორჯ გრეგანთან წაბურთავებით გაიტანა.

73-ე წუთზე მასპინძელმა „პუმებმა“ რვიდან მეხუთე საჯარიმო შეაგდეს და სხვაობა 15:17-მდე შეამცირეს. მერე ედუარდო სიმონემ სტუმრებს პასი ჩაუჭრა და ლელოც გაუტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა, ბურთი წინ გაგივარდაო.

ბოლოს მაინც 34 წლის დევიდ ნოქსმა თქვა გადამწყვეტი სიტყვა — მეექვსე ცდით მეექვსე (!) საჯარიმო შეაგდო, მაკქვინმა კი შენიშნა, ოთხი-ხუთი ლელო ბოლო, უხეირო პასმა დაგვაკარგვინაო.

ნიკო ვეფხვაძე

## რალი

# მაკ-ინენი თუ მაკ-რეი?

სეზონის ფინიშზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ავსტრალიის რალის მოლევის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ჩემპიონი არ შარშანდელი გამარჯვებული თომი მაკინენი გახდება, ანაც შარშანწინდელი ქოლინ მაკრეი. ყველაფერი 21-24 ნოემბერს გაირკვევა ბრიტანეთში, იქაური ხამეფო ავტო-კლუბის რალში, სადაც მასპინძელს, 29 წლის მაკრეის 33 წლის ფინელ მაკინენთან შედარებით აშკარა უპირატესობა ექნება.



რაკი რალსა და ავტორბოლას საერთო შეფი — ფია განაგებს, წლევანდლიდან რალში ქულები ფორმულა-1-ის ანალოგიით რიგდება. მაკინენი მაკრეის ახლა 10 ქულას რომ უგებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიტმა საჩემპიონოდ შინ უსიკვდილოდ უნდა გაიმარჯვოს, ფინელი კი მოწინავე ექვსეულს მიღმა დარჩეს. ამის შედეგად ორივეს ქულები ტოლად დაუგროვდება, მაგრამ რაკი მაკრეის ხუთი — კენიის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრალიისა და ბრიტანეთის რალი ექნება მოგებული, მაკინენს კი მხოლოდ ოთხი — პორტუგალიის, ესპანეთის, არგენტინისა და ფინეთის, ჩემპიონი ქოლინი გახდება.

მაკრეის ავსტრალიაში ადრეც მოუგია — 1994 წელს. მაკინენმა შარშან გამარჯვებით ვადამდე მოიპოვა ჩემპიონობა. სამაგიეროდ, ორგზის მსოფლიო ჩემპიონს, 35 წლის ესპანელ კარლოს საინცს წლევანდლამდე იქ ექვსჯერვე მოცარვოდა ხელი, შეჯიბრის ცხრაწლიან ისტორიაში კი ოთხჯერ ემარჯვა 38 წლის ფინელ იუჰა კანკუნენს, ვინაც სხვაფრივაც მაგარია — მსოფლიოს ოთხგზის (!) ჩემპიონია!

რალი პერთსა და მის ირგვლივ, ფიჭვნარში გამავალ ქვა-ღორღიან გზებზე იმართება. წელს შეჯიბრი უწინდელზე გვიან დაინიშნა, მაგრამ გზები მაინც მეტისმეტად მტვერიანი და სლიპინა იყო.

შეჯიბრი ხუთშაბათს ლენგლი-პარკში, გედის ტბის ნაპირებზე მოწყობილი 2-კილომეტრა სასეირო სუპერ-ეტაპით გაჩაღდა. საინცმა და 39 წლის ფრანგმა დიდიე ორიოლმა, მსოფლიოს 1994 ჩემპიონი რომაა, ერთი წამით აჯობეს მაკინენს, შვედ ერიქსონს, კანკუნენსა და მასპინძელ ნილ ბეითსს (ტოიოტა). მაკრეის მუხრუჭი ჩაეჭედა და ლიდერებს 4 წამით ჩამორჩა.

პარასკევის მარშრუტი უგრძესი იყო და იმავე სუპერ-ეტაპით დასრულდა. მაკრეიმ აიწყვიტა და დღის ბოლოსთვის 9 წამს უგებდა ბრიტანელ ბერნსს, 31 — ორიოლს, 51 — საინცს, მაკინენი კი VI ადგილზე აღმოჩნდა და ლიდერს 1.41-ით ჩამორჩებოდა.

ბრიტის თანაგუნდელი ერიქსონი X ეტაპზე კლდეს შეეჯახა და 1.18 წააგო. მაკინენის მანქანა სტარტზე რომ გაიჩნდა, მუჯლუგუნით დაძრეს და ფინელმაც 30 წამი ჯარიმად მიიღო. საინცი მტვერის ბუღმა შეაწუხა. მანქანები გზად თავიდან ორ-ორი წუთის ინტერვალით გაძიოდნენ, მაგრამ სამწუთაზე რომ გადაიყვანეს, კარლოსს ვერც ამან უშველა — პირობებს ვერაფრით შეეგუა.

მისმა თანაგუნდელმა კანკუნენმა სუპერ-ეტაპი კი მოიგო, მაგრამ მანამდე ხეს დაეჯახა და მარჯვენა უკანა თვლის შეკიდება დაიზიანა. მის გამოცვლას მექანიკოსებმა 19 წუთი მოანდომეს. ჰოდა, „ფორდმაც“ ეკიპაჟი რალიდან მოხსნა, აქაო და ექვსეულში ველარ მოხვდება და ჩვენც ხვალ მთელი ძალა საინცს მოვახმაროთო.

შაბათს საინცი მართლაც გადაირია — თავზე ხელი აიღო, ხუთი სპეც-ეტაპი მოიგო და მაკრეის 2 წამით გაუსწრო. ქოლინი მერე გამოტყდა, ესპანელის ამგვარ იერიშს არ ველოდი; და კიდევ, სტარტზე მეოთხე რომ დგებოდა, მოწინავეთა მიერ გაკვალული გზებით ფრიად ხეირობდაო.

ამ დღეს გავარდა ერიქსონი, ვისაც მანქანა XV ეტაპზე თხრილში ჩაუვარდა. მსგავსი ფათერაკი შეემთხვა მასპინძელ ბეითსსაც, მაგრამ ასპარეზობა მაინც გააგრძელა. რაც შეეხება მაკინენს, ბოლო დღის წინ იგი V ადგილზე იყო — საინცთან 53 წამს აგებდა.

კვირამ ახალი გმირი შვა — მაკინენი. მან დღის ოთხივე ეტაპი მოიგო, მაგრამ იმდენს აგებდა მაკრეისთან, რომ ველარ დაეწია. ბრიტი ოდნავ მოცურდა, მაგრამ მერე დინჯად იარა და რალიც მოიგო.

აი, გიჟმაჟ საინცს კი დღის პირველსავე ეტაპზე შეაქცია ზურგი იღბალმა: გზიდან ასხლეტილმა კენჭმა ძრავის ლვედი გადაუჭრა და კაცს ჩემპიონობის ბოლო შანსი გადაუწურა: კარლოსი ავსტრალიაში ჩასვლამდე ხომ ოდენ 9 ქულით ჩამორჩებოდა ფინელს.

თენგიზ არტამონოვი

### მსოფლიო პირველობის ბოლოსწინა, XIII რალი — ავსტრალიისა

30. 10 - 2. 11. პერთის (დასავლეთი ავსტრალია) შემოგარენი. 24 (1 + 10 + 9 + 4) სპეც-მონაკვეთი

1. ქოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, სუბარუ) 4 საათი: 05 წუთი. 31 წამი; 2. თომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) ჩამორჩა .06-ით; 3. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, ტოიოტა) .21; 4. რიჩარდ ბერნსი (ბრიტანეთი, მიცუბიში) .39; 5. პოსუმ ბურნი (ახალი ზელანდია, სუბარუ) 7.52; 6. ედ ორდინსკი (ავსტრალია, მიცუბიში) 9.24

საჩემპიონატო მონაგარი. პირადი: მაკინენი 62 ქულა; მაკრეი 52; კარლოს საინცი (ესპანეთი, ფორდი) 47; კენეთ ერიქსონი (შვედეთი, სუბარუ) 28; პიერო ლიატი (იტალია, სუბარუ) 24; იუჰა კანკუნენი (ფინეთი, ფორდი) 23

გუნდური: სუბარუ 104; მიცუბიში 82; ფორდი 81

## კრივი

# ყოველი დაფარული გაცხადდეს

გაირკვა 29 წლის ექს-პოლონელი ჩიკაგოელი მძიმეწონოსნის — ენდრიუ გოლოტას უმწეობის მიზეზი.



4 ოქტომბერს ბიჭი თავის თავს არა გავდა და ბრიტანელმა ზანგმა ლენოქს ლუისმაც ატლანტიკ-სითიში გამართულ საბჭოს (მსბ) საჩემპიონო შერკინებისას 95 წამში აწენია ნოკაუტი.

ნაცხუბარმა ენდრიუმ გასახდელში გონი დაკარგა. თავიდან იფიქრეს, მოკრივე ნერვიულობამ შეიწირაო, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ გოლოტას მარჯვენა მუხლი ტკივაია და ექიმსაც ბრძოლამდე საათნახევრით ადრე მისთვის მაყუჩი წამლის — ლიდოკაინის ნემსი დაუკრავს.

მწვრთნელ ლუ დუვასა და მის ვაჟს, გოლოტასავე პრომოუტერ დინო დუვას ეს ამბავი კრივის შემდეგლა შეუტყვიათ. მერე ფაქტს ნიუ-ჯერზის შტატის კრივის მამების ყურამდეც მიუღწევია და ამათაც მოკრივე 5 ათასი დოლარით დაუჯარიმებიათ, რადგან წამლის უჩუმრად გაკეთებით, თურმე ნუ იტყვით, კრივის სამყაროს ანტი-სადოპინგო ერთსულოვნებას გაჩენია ბზარი.

გოლოტას ჯარიმის გადახდა 30 დღეში მართებს. რაკი ლუისისგან ცემის გასამრჯელოდ 1,75 მილიონი დოლარი მიიღო, წესითა და რიგით, ეს არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ მისი სირევენის ამბავი, რიდიკ ბოუს ორჯერ რომ უგებდა, მერე კი ორივეჯერ უადგილო ადგილას დაარტყა და დისკვალიფიკაციაც მიესაჯა. ჰოდა, ვინიცობაა გაჯიქდეს და რაღაც გროშების გამო მოკრივის ლიცენზია ჩამოართვან.

ვალერი ჯიქია


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29